# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 12 აპრილი, 2011 წელი.

№67 (6678)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge   ვებ გვერდი: www.open.ge   ფასი 50 თეთრი.




მაისამდე **ნინო ბურჯანაძის დაპატიმრება** იგეგმება? 3

3

20 ათასი ლარი და 6 წელი პირობითი! 2

მთავარია ადამიანობა და თუ ფული გაქვს, „სიმართლე“ არ დაიკარგება!





50 წლის წინათ ადამიანი პირველად გაფრინდა კოსმოსში!..



რა გახდა ეს „ცხვირმოჭრილი“, ტუჩებდაბერილი, გაპუწული „საპატიმროების მინისტრის“ გადაყენება? 9

რჩევა მთავრობას

სად გაქრო ხელისუფლებამ ზარ-ზეიმით შემოყვანილი იაპონური ტრაქტორები?! 7

როგორ იშოვა ნახევარი მილიარდი კობა ნაყოფიამ? 6



როგორ დევნიდნენ დიდ მეცნიერს 5



მინისტრის მოადგილემ თუ ამდენი მოასწრო... 9



აპი წამლები გაიაფდაო?! 6



ჭირი დანახული სჯობს

## ეს რა ვნახე, მგონი, პრეზიდენტი მოგვიწამლეს...



**გიორგი ლეონიძემ ამ ორმოცდაათი წლის წინათ თავისი ხარჯით გაიყვანა წყარო თავის მშობლიურ პატარძეულში – დღესაც „გოგლას წყაროდ“ ცნობილი.**

**ეს აზრი მუხრან მაჭავარიანსაც ჰქონდა. მაგრამ პოეტის ოთხმოცი წლისთავის გამო არგვეთში ჩასულმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არგვეთელებს პირობა მისცა, წლისთავზე „მუხრანის წყარო“ გექნებათო...**

და აი კვირა საღამოს ნანა ლეჟავას რეპორტაჟმა არგვეთიდან კიდევ ერთი სამარცხვინო ამბის მოწმე გაგვხადა... პრეზიდენტმა კი შეხვრიპა ერთი პეშვი სითხე, თუმცა, კაციშვილმა არ იცის, წყალი იყო თუ არგვეთული მღვრიე ქვლაპე, ჭყაპურტა ღვინო, ყოველ შემთხვევაში, მასპინძლებმა (ადგილობრივმა ხელმძღვანელებმაძ ეშმაკურად ჭიქაც არ შეაშველეს პრეზიდენტს, რათა სითხის ფერს აშკარა არ გაეხადა, რომ წყაროს წყალს კი არა, ყვირილის გაუწმენდავ წყალს ასმევდნენ ქვეყნის პირველ პირს, იმასაც სახანძრო მანქანებით ამოტუმბულს პირდაპირ მდინარიდან.

ვიცი და გამიგონია, საჭმელსაც და სასმელსაც პრეზიდენტები უკვე წინასწარ გასინჯულს მიირთმევენ. ჩვენი პრეზიდენტი კი იმდენად თავმდაბალი, ხალხური ადამიანია, როგორ ჩანს, საჭიროდ არ ჩათვალა, რომ წყალი წინასწარ შეემოწმებინებინა, და რასაც არგვეთში ადამიანები იყენებენ და პირუტყვი სვამს, თვითონაც უჭიქოდ ეგრევე შეხვრიპა... აი, რას ნიშნავს, როცა ქვეყნის ხელმძღვანელი ასე საჯაროდ იზიარებს ხალხის ჭირსაც და ლხინსაც...

ისე, არგვეთის დამშრალ წყაროს რომ ვუყურებდი, ერთი ძველი ქართველი პოეტის ლექსი წამომაგონდა:

**რამ დაგაშრო, შე ოხერო,**
**ღარიბების ბედის წყაროო...**

და ჩემდა უნებურად გავიფიქრე, ის მილიონ ორასი ათასი თვითონ არგვეთელებს რომ განეკარგათ, ალბათ არც ჭიქის მიტანა „დაავიწყდებოდათ“ აგრე სამარცხვინოდ მოლორებული პრეზიდენტისთვის და არც ანკარა წყლის მირთმევა... ცნობილ არგვეთულ პურმარილზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

როგორც ვიცი, არგვეთელები მწარედ ხუმრობენ თურმე, ჩვენმა ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა მიშას პრეზიდენტობას ყვირილის მღვრიე წყალი გადაასხეს, ხოლო მუხრანის სული ხელისუფლების ყურწადებით უკადრისად შეურაცხყვესო...

**გურამ წიკლაური**

◎ იაპონია აღდგება და კიდევ უფრო გაძლიერდება

# მეგობარი გასაჭირში გამოიცნობა

**მადლობა კიძუნასთვის**

კიძუნა – მეგობრობის უღელი

絆

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც იაპონიას თავს დაატყდა უპრეცედენტო მასშტაბის მიწისძვრა, რომელმაც ათასობით სიცოცხლე იმსხვერპლა. დღესაც კი 150.000-ზე მეტი ადამიანი რჩება საევაკუაციო თავშესაფრებში.

ცუნამის მიერ განადგურებულ რეგიონებში არ იყო საკვები, სასმელი წყალი, ელექტროენერგია, და გადარჩენილებს არ ჰქონდათ კომუნიკაციის საშუალება. იმ სასოწარკვეთილ დროს მსოფლიოს ხალხი გაერთიანდა ჩვენთან ერთად, მომავლის იმედით და მხნეობის შთაგონებით.

თითოეული დაზარალებულისათვის, ვინც ყველაფერი დაკარგა, მოწოდებულ თბილ საბანს და ცხელ კერძს ჰქონდა სიცოცხლისათვის აუცილებელი მნიშვნელობა. სანამ მაშველთა ჯგუფები გმირულად ეძებდნენ ნანგრევებში გადარჩენილებს, ექიმები დაუღალავად შრომობდნენ დაშავებულთა მოვლაზე.



დღემდე ვღებულობთ უზარმაზარ მხარდაჭერას, ლოცვებს და დახმარებას მსოფლიოს ხალხთაგან. ჩვენ ღრმად ვაფასებთ მეგობრების მიერ მთელს მსოფლიოში გამოხატულ კიძუნას და მე მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ყველა ერს, ორგანიზაციას, და პირადად თქვენ.

აღდგენითი პროცესი უკვე დაწყებულია და ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რათა სიტუაცია ფუკუშიმა დაიჩის ბირთვულ ელექტროსადგურზე დასტაბილურდეს.

თავისი ძალებით და საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით იაპონია აღდგება და კიდევ უფრო გაძლიერდება. ჩვენ არ დაგივიწყებთ თქვენს გულუხვ დახმარებას.

ჩვენი გულები იმედით არის აღსავსე, ჩვენ ერთად ვდგავართ ჩვენი ქვეყნის აღსადგენად.

თქვენი თანაგრძნობა ჩვენი ხალხის მიმართ გადაიზარდა იმედში და ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს გულწრფელ მადლიერებას თქვენდამი.

**ნაოტო კანი,**
იაპონიის პრემიერ-მინისტრი

菅 直人

◎ პენიტენციური სისტემა

## საპყრობილეებში პატიმართა დაღუპვის რაოდენობამ კვლავ იმატა

**მედია** კავშირ „ობიექტივის" სტუდიაში საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებმა ბრიფინგი გამართეს. ისინი აღშფოთებას გამოთქვამდნენ საპყრობილეებში შექმნილი ვითარების გამო. იზღუდება პატიმართა რელიგიური უფლებები. №7 საპყრობილეში 10 დღეა აკრძალულია სასულიერო პირების შესვლა. ყოველდღიურად ირღვევა პატიმართა უფლებები, მათზე ხორციელდება ფიზიკური ძალადობა. პარასკევს, 8 აპრილს №8 საპყრობილედან გამოასვენეს 8 ცხედარი. როგორც წინააღმდეგობის წევრები იუწყებიან, სასჯელაღსრულების და პრობაციის დეპარტამენტი მიზანმიმართულად ასაიდუმლოებს ინფორმაციას, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურები ახორციელებენ ზეწოლას გარდაცვლილთა ოჯახის წევრებზე, რათა ეს ამბავი ცნო-



ბილი არ გახდეს ფართო საზოგადოებისთვის. ამჟამად გარდაცვლილებს ექსპერტიზა უტარდებათ, დგინდება მათი ვინაობა. წამების ფაქტები უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. მოძრაობის ერთ-ერთმა წევრმა სოსო მანჯავიძემ შეკრებილთ მოუწოდა გამთლიანებისკენ, რათა პატიმართა ასეთი მასობრივი გარდაცვალება აღიკვეთოს. წმინდა სამების საკათედრო ტაძარში გადახდილი იქნება პანაშვიდი საპატიმროებში დაღუპულთა სულთა საოხად. პანაშვიდს გამართავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

**ირინა ოზოლაშვილი**

◎ ინფორმაცია

### ახალი ელჩი

**სომხეთს** საქართველოში ახალი ელჩი ჰყავს. ოვანეს მანუკიანმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძეს რწმუნებათა სიგელის ასლი გადასცა.

საზეიმო ცერემონიალის შემდგომ გამართულ შეხვედრაზე, მხარეებმა ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სომხეთის რესპუბლიკის ელჩს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მას შემდგომი წარმატებები უსურვა.

### სათვალთვალო კამერებს აყენებენ

**აფხაზი** სეპარატისტები ავტოტრასებსა და ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში სათვალთვალო კამერების დაყენებას აპირებენ. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მედია ავრცელებს.

ე.წ. შს მინისტრის ლეონიდ ძიაპშბას ინფორმაციით, ვიდეოთვალთვალის სისტემა უკვე დამონტაჟებულია „ფსოუს" საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე და „მიუსერას" ბლოკ-პოსტზე.

– უახლოეს დღეებში კამერები ასევე დამონტაჟდება „კოდორისა" და „ოხურეის" საგუშაგოებზე.

მისივე ინფორმაციით, თავად ქალაქ სოხუმში ვიდეოკამერები 15 მონაკვეთზე დამონტაჟდება - ქალაქის ცენტრალურ რაიონში, ცენტრალური ბაზრის მიდამოებში, ბანკებში და მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ „რეფორმირებული" სასამართლო

## 20 ათასი ლარი და 6 წელი პირობითი!

**მთავარია ადამიანობა და თუ ფული გაქვს, „სიმართლე" არ დაიკარგება!**

**სანდრო ბრეგაძე** დარბაზიდან გაანთავისუფლეს, მაგრამ თავისუფლებაა ეს? რა თქმა უნდა, საკაშვილის ციხის ჯურღმულებში ყოფნას, თუნდაც პირობით, მაგრამ მაინც, თავისუფლება სჯობს.

პირობითი სასჯელი, პლუს საპროცესო გარიგება კი იმას ნიშნავს, რომ სანდრო ბრეგაძემ დანაშაული აღიარა. სხვანაირად ასეთ „მოწყალებას" ჩვენი ევროპულად მოდერნიზებული სასამართლო არ გასცემს.

აქედან გამომდინარე არც გამამართლებელი განაჩენების პროცენტი გაზრდილა და იგი კვლავ 0-მთელი „შრემტო" პროცენტი რჩება.

პირობითი სასჯელი იმასაც ნიშნავს, რომ სანდრო ბრეგაძე იმ ასეულ ათასობით კონტინგენტს შეუერთდა, რომელთაც ე.წ. პრობაციონერები ჰქვიათ, ანუ კვირაში ერთხელ მასაც მოუწევს პრობაციის ბიუროში საკუთარი პიროვნების დაფიქსირება.

ერთი სიტყვით, ორივე მხარე კმაყოფილია – სანდრო ბრეგაძე იმით, რომ ასე თუ ისე თავისუფალია, ხოლო ჩვენი ხელისუფლება ხომ არის და არის კმაყოფილი. ჯერ ერთი იმით, რომ შინ თუ გარეთ კიდევ ერთ პოლიტპატიმარზე საუბრის საფუძველი აღმოფხვრა და მეორეც, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე „პო ხოდუ" ბიუჯეტიც 20 ათასი ლარით გაუმდიდრებია.

და მესამე, თანაც უმთავრესი – პირობითი სასჯელი ხომ იმას ნიშნავს, რომ როცა უნდათ მაშინ დაგიჭერენ. თუნდაც ავტომანქანით წითელზე გავლის, ან ქუჩაში გადაფურთხებისთვის. მოსალოდნელ აქციებზე გაწევ-გამოწევაში მონაწილეობაზე აღარაფერს ვამბობ.

ასე რომ, ახლო მომავალში გამოჩნდება სანდრო ბრეგაძე მხოლოდ ფინანსურ-ფიზიკურად „შეფერთხეს" თუ ფსიქოლოგიურადაც დააფრთხეს!

**დავით მხეიძე**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

განსჯა

# საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთის ლიბერალურ იმპერიაში მოექცეს



**დამოუკიდებლობის აღდგენის 20-წლიანი ისტორიის ეკონომიკურ შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა ცნობილ ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში ლადო პაპავას**

**— ბატონო ლადო, 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა. დამოუკიდებლობის მიღების 20 წლისთავზე როგორ შეაფასებდით ქვეყნის ეკონომიკურ შედეგებს?**

— ზოგადი შეფასებით, მთელი პოსტკომუნისტური სივრცე შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად — წარმატებულ და წარუმატებულ ქვეყნებად. წარმატებულმა და ლიდერმა ქვეყნებმა მოახერხეს ევროკავშირში გაწევრება, წარუმატებელ, ანუ აუტსაიდერ ქვეყნებად კი ითვლებიან ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ შორს არიან ევროპული სტანდარტებისგან. სამწუხაროდ, საქართველო სწორედ მეორე ჯგუფშია.

იმავდროულად იბადება კითხვა — დასრულდა თუ არა საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა? პასუხი ერთმნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, დასრულდა. მაგრამ ჩვენ არ გადავსულვართ ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკაზე, ჩვენ გადავედით საბაზრო ეკონომიკის საკმაოდ მახინჯ ფორმაზე. თუმცა ეს ფორმა მარტო საქართველოსთვის დამახასიათებელი არ არის. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შეიქმნა არა დასავლური ტიპის კაპიტალიზმი, არამედ ეგრეთ წოდებული პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია კომუნისტური პერიოდის გადმონაშთები.

რაც შეეხება განვლილი 20 წლის დეტალურ განხილვას. შეიძლება ითქვას, რომ თავიდანვე იყო დაშვებული გამოწვეული რომანტიზმით ძალიან სერიოზული შეცდომები. გვეგონა, რომ ქვეყნის ეკონომიკაში ყველაფერი მარტივად იქნებოდა, საკმარისი იყო სსრკ-ს იმპერიიდან გამოყოფა. მკითხველს შევახსენებ იმ პერიოდში გავრცელებულ მოსაზრებას — მარტო „ბორჯომი“, ღვინო და ციტრუსები გადაგვარჩენსო. ზოგი იმასაც ამბობდა, ოღონ თავისუფლები ვიყოთ და ბალახსაც შევჭამთო. მაგრამ, სიტუაცია ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა.

საქართველო თავიდანვე ჩააბეს კონფლიქტებში, ჯერ — სამხრეთ ოსეთში, ხოლო შემდეგ — აფხაზეთში. ამან ქვეყანას ეკონომიკური განვითარებისთვის სერიოზული პოტენციალი დააკარგვინა. იმავდროულად, დაშვებულ იქნა ფანტასტიკური შეცდომები, რამაც 90-იანი წლების დასაწყისში ჰიპერინფლაცია გამოიწვია. იმ პერიოდში თვეში ინფლაციის დონე 50-70% იყო. ამ დროს შეცდომით იქნა შემოღებული დროებითი ქართული ვალუტა — კუპონი, რომელიც სწრაფად გაუფასურებადი იყო. დამოუკიდებლობის პირველი 3 წელი ეკონომიკაში სერიოზული წარუმატებლობის წლებია. ამ პერიოდში მოხდა ეკონომიკის თითქმის 3-ჯერადი ვარდნა. შედარებითი სტაბილურობა გამოიკვეთა 1994 წლის ბოლოსა და 1995 წლიდან. 1995 წელს მოხერხდა ლარის შემოღება და ეს იყო პირველი სერიოზული გამარჯვება ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლების შექმნაში. 1995 წლიდან გრძელდება ლარის წინააღმდეგ დაუნდობელი ომი პოლიტიკური პარტიების მხრიდან, საუბარია იმ პარტიაზე, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა. ეს ეხება როგორც „მოქალაქეთა კავშირს,“ ისე „ნაცმოძრაობას“. სწორედ ამის გამო იცვლებოდნენ ეროვნული ბანკის პრეზიდენტები, თუმცა საფუძველშივე ჯანსაღად შობილი ლარი, საკმაოდ მტკიცე აღმოჩნდა და ამ პოლიტიკურ ბატალიებს გაუძლო.

განსაკუთრებული ეტაპია ვარდების რევოლუციის შემდეგ გატარებული რეფორმები. ქვეყანაში გამყარდა საგადასახადო დისციპლინა. დაძლეულ იქნა საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისი, გამარტივდა ბიზნესის დაწყების კანონმდებლობა, თუმცა, იმავდროულად კიდევ უფრო დაუცველი აღმოჩნდა კერძო მესაკუთრე. გახშირდა საკუთრების ხელყოფის ფაქტები. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი განვითარება ერთობ წინააღმდეგობრივია — ფორმით ის ნეოლიბერალურს ჰგავს, შინაარსით კი ნეობოლშევიკურია. ამიტომ, ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ ეკონომიკაში ევროპული სტანდარტებისაგან.

**— აშკარაა, რომ დამოუკიდებლობის წლებში საქართველომ თავისი ეკონომიკური პოტენციალი სრულად ვერ გამოიყენა. თქვენი აზრით, რატომ ვერ შეძლო ქვეყანამ თავისი ეკონომიკური შესაძლებლობების სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ამოქმედება?**

— ვერ შევძელით, უწინარესად, იმიტომ, რომ 90-იან წლებში ჩართული აღმოვჩნდით კონფლიქტებში, მეორე — ქართული პოლიტიკური ელიტა დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლების მშენებლობისთვის აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა. თავი იჩინა არაპროფესიონალიზმმა, იგი განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო 90-იანი წლების დასაწყისისთვის. ვარდების რევოლუციის შემდეგ ეკონომიკის რეფორმებში თანმიმდევრულებიც არ აღმოვჩნდით, მაშინ როცა ბრწყინვალე შესაძლებლობა მოგვეცა ეკონომიკის ფეხზე დასაყენებლად, საქართველომ ვერ გამოიყენა მსოფლიოს თანამეგობრობის მხრიდან მოცემული კარტბლანში. ომის საშუალებით რუსულ ხაფანგში აღმოვჩნდით, რეფორმები ბოლომდე იმის გამო ვერ გავატარეთ, რომ ლიბერალურ რეფორმებს ბოლშევიკური საკმაზი შევურიეთ. მთავარი პრობლემა მაინც ის არის, რომ საქართველოში პროფესიონალიზმი ვერა და ვერ დაფასდა, აქედან გამომდინარე, პრობლემები ეკონომიკის სფეროში პერიოდულად იჩენს თავს.

**— რამდენიმე დღის წინათ ქართულმა მხარემ „ხრამჰესი-1“ და „ხრამჰესი-2“ „ინტერ რაოს“ მფლობელობაში გადასცა. რუსული კომპანიების საქართველოში ქონების ფლობის თუნდაც არასრულ სიას თუ გადავხედავთ, ძნელი არ იქნება იმ დასკვნის გაკეთება, რომ ყველაზე ღირებული ქონების მფლობელი ოკუპანტი რუსეთია. ვითარებაში, როცა ოფიციალური თბილისის პოლიტიკური გეზი ევროპისკენაა მიმართული, რატომ ხდება ისე, რომ საქართველოს ეკონომიკის უმსხვილესი საწარმოების მფლობელები სწორედ რუსული კომპანიები ხდებიან?**

— ის, რაც ახლა „ხრამჰესი-1“ და „ხრამჰესი-2“-თან დაკავშირებით მოხდა, სულაც არ არის ახალი მოვლენა. ეს არის გაგრძელება იმ პროცესისა, რომელიც საქართველოში 2003 წელს დაიწყო. 2003 წელს საქართველოში „რაოესი“ საქართველოში პირველად შემოვიდა და ეს ის წელია, როდესაც რუსეთმა საჯაროდ განაცხადა ლიბერალური იმპერიის შექმნის მიმართულებით საქმიანობის დაწყება.

იხ. 4 გვ.

ექსკლუზივი

# მაისამდე ნინო ბურჯანაძის დაპატიმრება იგეგმება

## მერაბიშვილი ვითომ მძინარე კატის პოზაშია?

**ჩვენი გაზეთი არასოდეს სკანდალებზე არ მუშაობს. როგორც წესი, ინფორმაციის წყარო საჯარო დოკუმენტებია, რომელიც ღია და ხელმისაწვდომია ყველასთვის, ამასთანავე გადამოწმებული. თუმცა ამჯერად ვარღვევთ გაზეთის „წესს“ და იმ ექსკლუზიურ მასალას მოგაწოდებთ, რომელიც გუშინ წყარომ მოგვითხრო, თუმცა მის ვინაობას ინკოგნიტოდ ვტოვებთ.**



მისი თქმით, სახალხო კრებასთან დაკავშირებით ხელისუფლება აშკარად აღშფოთებულია და მერაბიშვილის გუნდის წევრები ყველა შესაძლო ვარიანტს განიხილავენ, რომელიც კრების ჩაშლას ხელს შეუწყობს. ერთ-ერთ საშუალებად კვლავ დადგმული სპექტაკლი, ანუ ფარული ჩანაწერები განიხილება. ამ ვერსიის მიხედვით, რამდენიმე ყოფილ ნაომარ „ტიპს“ უკვე შეხვდნენ მერაბიშვილის აგენტები. ამ ხელისუფლებაში ხელმოცარულ მებრძოლებს ისინი სოლიდურ ანაზღაურებას და დასაქმებას დაჰპირდნენ იმის სანაცვლოდ, თუ ისინი ნინო ბურჯანაძის „მხილებაში“ შეუწყობენ ხელს. საქმე ეხება ჩვენთვის კარგად ნაცნობ სცენარს — იარაღით სავსე ოთახში მებრძოლი ბიჭების დიალოგს შეიარაღებული გადატრიალების შესახებ, რომელსაც თითქოს ნინო ბურჯანაძე და მისი მეუღლე ბადრი ბიწაძე ხელმძღვანელობენ.

რამდენიმემ ამ საქმეზე წასვლა არ ისურვა და უარი განაცხადა, მაგრამ ერთი-ორი თურმე თანახმაა. თუმცა სცენარი ჯერ დახვეწის პროცესშია და შესაძლოა, შედარებით განსხვავებული ვარიანტი შემოგვთავაზონ.

ჩვენი წყაროსთვის ამ პირების გვარსახელები ცნობილია. მეტიც ის პირადად იცნობს მერაბიშვილის აგენტებს. ამასთანავე, სახალხო კრებაში სპეციალურად ჩანერგილი ნაციონალების შესახებ ცნობას ჩვენი რესპონდენტიც ადასტურებს და ამბობს, რომ დაანონსებული 2 მაისის დიდი აქცია აუცილებლად „ჩაფლავდება“, სწორედ ამის გამო. თუმცა ხელისუფლებას ურჩევნია სახალხო კრებას „გვერდი აუაროს“ და ამ საქმეს ბურჯანაძის დისკრედიტაციით მოუღოს ბოლო. ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე აუცილებლად ციხეში უნდა აღმოჩნდეს და მისი „ალიარებითი ჩვენებებიც“ სახალხო უნდა გახდეს, რის შემდეგაც არა მარტო მის პარტიასა და სახალხო კრებას, არამედ მთელ ოპოზიციურ სპექტრს შეელახება იმიჯი.

**მართალი გითხრათ, ჩვენი რესპონდენტის ამ „ჩვენებას“ გვერდს ავუვლიდით, თუმცა გამორიცხული არაფერია, მით უფრო, რომ ეს „კინო“ ჩვენ უკვე რამდენჯერმე ვნახეთ. ბოლო დროს „სახალხო კრების“ გახმაურებული ბრიფინგები მათ რიგებში აგენტების არსებობის შესახებ კიდევ ერთხელ არწმუნებს საზოგადოებას, რომ ხელისუფლებისა და ნაციონალური არხების იგნორირება დაანონსებული სახალხო ოპოზიციურ შფოთზე მხოლოდ მოჩვენებითია და მერაბიშვილს შინაური არასტაბილურობის მოლოდინი ძალიან აღელვებს. ვინ დაიჯერებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალე ფანჯრებს მიღმა მინისტრი და მისი გუნდი მშვიდ ძილს მისცემია და სცენარებს არ ამუშავებს...**

ნია ფიფია

ინფორმაცია

## კაჩინსკი რუსებმა ჩვენი გულისთვის გაწირეს

**— სმოლენსკის ტრაგედიაში რუსულ მხარეს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, — ამის შესახებ სმოლენსკის ტრაგედიასთან დაკავშირებით პოლონეთის პარლამენტის ზედა პალატაში შექმნილი კომისიის ხელმძღვანელი, პოლონეთის სამხედრო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი ანტონ მაცარევიჩი აცხადებს.**

**მაცარევიჩის თქმით, იმის მიუხედავად, რომ მოსკოვი ამ ფაქტს არ აღიარებს, რუსული მხარის პასუხისმგებლობა დგება. მაცარევიჩი საუბრობს დისპეტჩერსა და პილოტს შორის გამართული საუბრის ჩანაწერზე, საიდანაც ჩანს, რომ მფრინავს მცდარ მიმართულებასა და ამინდის არასწორ პროგნოზს აწვდიან. გარდა ამისა, ჩანაწერებით დასტურდება, რომ სადისპეტჩეროში უცხო ადამიანებიც იმყოფებიან, რომლებიც განკარგულებებს იძლევიან.**

**კომისიის ხელმძღვანელი საქართველოსაც ახსენებს და აცხადებს, რომ კაჩინსკი რუსეთმა განსაკუთრებულად სწორედ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ თბილისში ჩამოსვლის გამო აითვალწუნა.**

## სერგეი ბაღაფში სოხუმში დაბრუნდა

**აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა თურქეთის რესპუბლიკაში ვიზიტი დაასრულა და სოხუმში დაბრუნდა. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მედია ავრცელებს.**

**მათი ინფორმაციით, ე.წ. პრეზიდენტი თავისი მოვალეობების შესრულებას შეუდგა, რის ფარგლებშიც უკვე ბაღაფში მოქალაქეთა მიღებას აწარმოებს.**

**შეგახსენებთ, რომ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში თურქეთში 7 აპრილს გაემგზავრა. იგი ანკარაში აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა.**

## „აგვისტოს ხუთი დღე“ ვალენსიაში

**რენე ჰარლინის ფილმს „აგვისტოს ხუთი დღე“, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომს ასახავს, მაყურებელი პირველად ვალენსიაში სათავგადასავლო ფილმების ფესტივალზე ნახავს. ფილმის ჩვენება 15 აპრილს იგეგმება.**

**დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაპუნა დავითაიას ხელმძღვანელობით, ქართული დელეგაცია ესპანეთში უკვე გაემგზავრა.**

**ჰოლივუდის ქართული პროექტი ხუთდღიან საერთაშორისო ფესტივალს დახურავს. ჩვენებას რეჟისორი რენე ჰარლენი და მსახიობები დაესწრებიან. რუსული აგრესიის შესახებ გადაღებულ ფილმში მიხეილ სააკაშვილის როლს ცნობილი მსახიობი ენდი გარსია ასრულებს.**

**კინოსურათის ნახვის საშუალება დიდ ეკრანებზე ევროპელ და ქართველ მაყურებელს ზაფხულში ექნება.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

განსჯა

# საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთის ლიბერალურ იმპერიაში მოექცეს

(მესამე გვერდიდან)

ამგვარი საქმიანობა რუსეთმა კავკასიაში უპირველესად სომხეთიდან დაიწყო. დღეს სომხეთს თავისი დამოუკიდებელი ეკონომიკა არა აქვს. ყველა მსხვილი სამრეწველო, საფინანსო თუ ენერგეტიკული ობიექტი რუსული კაპიტალის კონტროლქვეშაა. ახლა რუსეთი საქართველოში ზუსტად იგივე სქემით მოქმედებს. ამიტომ, ის რაც ახლა მოხდა, ლოგიკური გაგრძელებაა იმისა, რასაც საქართველოს რუსული ლიბერალური იმპერიის მარწუხებში მოქცევა ჰქვია. ჩემთვის, ისევე როგორც თქვენთვის, პასუხგაუცემელი რჩება კითხვა — რატომ უწყობს ხელს საქართველოს ე.წ. პროდასავლური მთავრობა ქართულ ეკონომიკაში რუსული კაპიტალის აგრესიულ ინტერვენციას? საქართველომ რუსეთს თითქმის ყველა მსხვილი საწარმოს მართვის სადავეები გადასცა. დღეს დარჩენილი გვაქვს ორი სტრატეგიული ობიექტი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გასხვისებული, ეს არის საქართველოს რკინიგზა და მაგისტრალური გაზსადენი, თუმცა, გამორიცხული არაფერია. ის, რაც ახლა რუსეთთან მიმართებაში ხდება, დაწყებული საქმის მხოლოდ გაგრძელებაა. ჩვენ დღესაც არ ვიცით, როგორია ენგურჰესის რეალური სტატუსი. თუ რა მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და „ინტერ რაოს“ შორის 2008 წლის აგვისტოს ბოლოს, ანუ ომის დასრულებიდან სულ რაღაც ორიოდე კვირაში. ეს დოკუმენტი დღესაც გასაიდუმლოებულია.

**— ბატონო ლადო, ჩვენ თავად ხომ არ ვუწყობთ ხელს „რუსული ლიბერალური იმპერიის“ შექმნას, რომლის შესახებაც განცხადება, სხვათა შორის, ანატოლი ჩუბაისმა თბილისში ვიზიტისას გააკეთა?**

— არა მარტო თბილისში ვიზიტისას, მან ამის შესახებ სტატია 2003 წლის 1 ოქტომბერს „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოაქვეყნა. ჩვენ, ანუ მე და თქვენ კი არა, უნდა დავაზუსტოთ, რომ საქართველოს მთავრობა რუსეთის ლიბერალურ იმპერიაში საქართველოს მოქცევას ხელს უწყობს. ამას ხელისუფლება მიზანმიმართულად და საკმაოდ ღიად აკეთებს. ასე რომ, ეს ორი სიტყვა, „ჩვენ“ და „საქართველოს მთავრობა“ ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ.

**— ლიბიაში მიმდინარე სამოქალაქო ომისა და იაპონიაში მიწისძვრებისა და ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიების ფონზე ექსპერტთა ნაწილმა ეკონომიკური კრიზისის ახალ ტალღაზე დაიწყო საუბარი. თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ახალი ტალღა და როგორ აისახება იგი საქართველოზე?**

— გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 2007 წელს აშშ-ში დაიწყო, ჯერ არ დასრულებულა. გარკვეულ ეტაპზე ის მინელდა, მაგრამ გრძელდებოდა. ამას დაემატა ყველა ის პრობლემა, რაც თქვენ ბრძანეთ. ახლა არსებობს არა ახალი კრიზისის დაწყების, არამედ არსებული კრიზისის გამწვავების საფრთხე. ამას დასავლეთში აღარავინ მალავს. ახლა რაც შეეხება იმას, რამდენად არის ამისთვის საქართველო მზად და როგორ გადავიტანთ კრიზისის ახალ ტალღას.

საქართველო თავისი მწირი რესურსებით ამ პროცესს აბსოლუტურად მოუმზადებელი ხვდება. ერთადერთი ნუგეშია ის, რომ 2008 წელს მიღებული დახმარების, რომელიც საქართველოს, როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლს გამოეყო (4,5 მილიარდი აშშ დოლარიძ თითქმის 50% ჯერ კიდევ დაუხარჯავია. ეს გვაძლევს იმედს, რომ საქართველო შეიძლება დღევანდელზე უფრო მძიმე ვითარებაში არ აღმოჩნდეს. საქართველოს მთავრობას უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის, არა თუ პროგრამა, სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით ხედვაც არა აქვს. ეს პარლამენტში მთავრობის უკანასკნელმა საპარლამენტო მოსმენებმაც დაადასტურა.

**კობა ბენდელიანი.**



გადასახადი

# რა ცვლილებები და დამატებებია საჭირო ახალ „გამარტივებულ“ კოდექსში?

**ყურთასმენამ მიჩვევა რომ იცის და ცალკეული ბგერების ხმაურის ფონიდან გამოყოფა კაცს რომ უჭირს, ცნობილი ამბავია. ზუსტად ასე მოსდის ზოგიერთ სიტყვას ან ტერმინს, რომელსაც სწორად კი ვხმარობთ, მაგრამ მის არსს ცალკე არ აღვიქვამთ, უფრო სწორად, არ ვუფიქრდებით. ამჯერად ერთ ასეთში გვინდა დავაკვირდეთ, კერძოდ კი „განვითარებად ქვეყანას“.**

თუ რით განსხვავდება „განვითარებული ქვეყანა“ „განვითარებადისგან“, მით უმეტეს „ჩამორჩენილისგან“ ანუ ე.წ. „მესამე სამყაროს ქვეყნისგან“, ამის გარჩევა რომ დავვეწყო, ძალიან დიდ დროს მოვუნდებოდით, თანაც სათქმელი ბოლომდე შესაძლოა ვერც გვეთქვა. თუმცა ეგ კია, რომ პირველი, რაც კაცს აზრად მოგივა ამ სამი „კლასის“ ქვეყნების შედარებითი დახასიათებისას, ესაა განმარტება „ცხოვრების დონე“, რაც, თავის მხრივ, უამრავ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, ზნეობრივ და ა.შ. კომპონენტს გულისხმობს. ყველაფრის ფუნდამენტი კი, საიდანაც გნებავთ მოვუაროთ, პოლიტიკურ-ეკონომიკური წესწყობაა, ეკონომიკა კი, საბაზრო ურთიერთობები, — მისი ქვაკუთხედი.



ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკურ (და მასზე ნაწილობრივ დამოკიდებულ პოლიტიკურძ სიძლიერეს **საზოგადოებრივი სახსრები,** ანუ **სახელმწიფო ბიუჯეტი** წარმოადგენს, რომლის როგორც შემოსავლის, ისე ხარჯის სტრუქტურები, გამჭვირვალობა და ა.შ. საბოლოო ანგარიშით ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეზე აისახება.

სულაც არ არის ახალი ამბავი, რომ განვითარებული ქვეყნების **საგადასახადო შემოსავალი უმთავრესად საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან შედგება.** რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს (თუმცა, იქნებ, არც მაინცდამაინც!ძ საქართველოში, სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, **გადასახადების დაახლოებით ნახევარი (46,7 პროცენტი)... დამატებული ღირებულების გადასახადია.** აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წმინდა ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ეს იმითაა განპირობებული, რომ ამ მხრივ მაღალი სტატუსის მქონე ქვეყნებში მსხვილი თუ საშუალო ბიზნესის სამრეწველო და სამომსახურებო საქმიანობა წარმატებულია, შესაბამისად, დასაქმების მაღალი დონეა, ხოლო მომუშავეთა შრომის ანაზღაურება — სოლიდური.

უნდა ითქვას, რომ საგადასახადო შემოსავალში დამატებული ღირებულების გადასახადის ესოდენ მაღალი წილი მარტო საქართველოს კი არა, ფაქტობრივად ყველა განვითარებადი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დამატებული ღირებულების გადასახადს, რომლის რამდენიმე სახეობიდან საქართველოში საფინანსო ორგანოები ერთ-ერთ, კერძოდ, **ჩათვლების სისტემას** იყენებენ, უშუალოდ ის ეფექტი აქვს, რომ **ფული პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხება,** რაც საგადასახადო და მოგების გადასახადების სიმწირის პირობებში მისი შევსების უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის სფერო საგრძნობლად გაზრდილია, რაც, უწინარესად ათასგვარი ჯარიმა-საურავის შემოღებასთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ძირითად მკვებავ ბლოკს ქმნის. კერძოდ, **ახალი წლიდან დამატებული ღირებულების გადასახადით დაიბეგრა საქონლის ან მომსახურების საფასურის წინასწარ გადახდილი ღირებულება, ავანსი.** თავად, ავანსის არსი ის არის, რომ ფულის გადახდა მომსახურების გაწევამდე ან პროდუქციის შექმნამდე ხდება. **დამატებული ღირებულების გადასახადი 18 პროცენტია, ამდენად, ნებისმიერი წინასწარ გადახდილი თანხის ეს ოდენობა ბიუჯეტში ჩაირიცხება.** არადა, იმ შემთხვევაში, თუკი გარიგება რაღაც მიზეზით ჩაიშალა, დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც ყველა შემთხვევაში მომსახურების ან პროდუქციის მომხმარებლის გადასახდელია (რადგან შემდგომ მწარმოებელს უბრუნდებაძ, ავანსის გამცემს როგორღა უნდა დაუბრუნდეს, სრულიად გაუგებარია.

ეს ახალი საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთი იმ ლაფსუსთაგანია, რომლის გამო, ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, შორს არ არის ის დრო, როცა ამ ახალ, „გამარტივებულ“ ეკონომიკურ კოდექსში ახალი ცვლილებები და დამატებები იქნება შესატანი.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

## ევროკავშირის განცხადებით საქართველოში თურმე სიმშვიდეა

**საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი, ელჩი ჰანსიორგ ჰაბერი ამ თანამდებობაზე თავისი მოღვაწეობის შედეგების შეჯამებისას, საქართველოსა და მისი სეპარატისტული რეგიონების საზღვრისპირა რაიონებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით სიტუაციის მნიშვნელოვან პროგრესზე საუბრობს.**



**— მისიის სამუშაოს დასაწყისში არსებულ მდგომარეობას დღევანდელს თუ შევადარებთ, იგი რა თქმა უნდა, დამშვიდდა. ჩვენ შევძელით და გარკვეულ ნდობას მივაღწიეთ მოლაპარაკებათა პროცესის მონაწილეთა შორის, საუბარია მოლაპარაკებების ქართველ, რუს, აფხაზ და სამხრეთ ოსეთის მონაწილეებზე. საქართველოს ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ სიტუაცია ამჟამად უფრო მშვიდია, ვიდრე 2008 წლის აგვისტოში, — განაცხადა ჰაბერმა ჟურნალისტებთან საუბრისას.**

**მისივე თქმით, ნდობის აღდგენას ასევე ხელს უწყობს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფების შეხვედრები.**

**— ეს შეხვედრები ნდობის შექმნის ინსტრუმენტია და მას ორი ასპექტი აქვს - პირადი ნდობა და შედეგიანობა და, რა თქმა უნდა, ცხადია, რომ ქართველ, აფხაზ და სამხრეთოსეთელ ჩინოვნიკებს შორის ნდობის აღდგენა ხდება. ცხადია, რომ მათ შორის მოლაპარაკებები მიდის ამ მექანიზმის ფარგლებს გარეთაც და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, — აცხადებს ჰაბერი.**

**საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი ასევე აღნიშნავს, რომ გაუმჯობესდა გაადაადგილება საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე და ეს „მათ შორის რუს მესაზღვრეთა დამსახურებაა“„ და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი არ აღიარებს მათი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ყოფნის კანონიერებას.**

**საქართველოში ევროკავშირის მისიის სადამკვირვებლო მისია კვლავ მოითხოვს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დამკვირვებელთა შეშვებას. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნავს, რომ „მისია მაინც ეფექტურად ასრულებს თავის მანდატს“.**

**ჰაბერი ასევე აღნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებზე ევროკავშირის დამკვირვებლების შეშვებას უახლოეს დროში არ ვარაუდობს.**

## ისრაელს საშიში ქვეყნების სიაში არ შევუყვანივართ

**როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ განაცხადა, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია საქართველოში ისრაელის წარმომადგენლობაში უარყვეს. — ეს ინფორმაცია მედიით გავრცელდა. ჩვენ მაშინვე დავუკავშირდით საქართველოში ისრაელის წარმომადგენლობას, სადაც ისრაელის მიერ საქართველოს საშიშ ქვეყანათა სიაში შეყვანა ამ ეტაპზე არ დაადასტურეს, თუმცა დაგვპირდნენ, რომ მას გადაამოწმებდნენ“, — განმარტა კალანდაძემ. — იგი „სპეკულაციად“ აფასებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ქართველი სამართალდამცავების მიერ ებრაელი ბიზნესმენების დაკავების გამო შესაძლოა, დაიძაბოს.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

დრო, მოვლენა, ადამიანი

# როგორ დევნიდნენ დიდ მეცნიერს

## 23 აპრილს დაიბადა ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილს (1876-1940) სამი პოლიტიკური რეჟიმის დროს მოუხდა მოღვაწეობა. ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქმა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო რუსეთის იმპერიაში (1898-1917 წწ.), გააგრძელა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) და დაასრულა საბჭოთა საქართველოში (1921-1940 წწ.). რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ივანე ჯავახიშვილი ლამის იყო სატუსაღოში გამოკეტა მისი ცნობილი ნაშრომისათვის „ეროვნული და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“ (სპბ., 1906). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, 1919 წელს, ივანე ჯავახიშვილი დამფუძნებელი კრების წევრად არ აირჩიეს, მაშინ, როდესაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც მხოლოდ დაწყებითი განათლება ჰქონდათ მიღებული. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ ივანე ჯავახიშვილი აიძულა მისივე თაოსნობით დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის რექტორობიდან გადამდგარიყო, ხოლო შემდეგ საპროფესორო მოღვაწეობა აუკრძალა. ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვის დღეს უნივერსიტეტის ბაღის სიახლოვეს ცხენოსანი პოლიცია იყო მობილიზებული.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ივანე ჯავახიშვილს მტრად არ მიიჩნევდა, მით უმეტეს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ივანე ჯავახიშვილი მტერი იყო. საბჭოთა ლიდერებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ ივანე ჯავახიშვილი პოლიტიკაში არ გარეულა. ამ შემთხვევაში მოქმედებდა პრინციპი: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენს წინააღმდეგაა“. ძველი პროფესურის, ე.წ. „ბურჟუაზიული კადრების“ იდეური და ფიზიკური განადგურება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. ეს პროცესი იგეგმებოდა ისევე, როგორც ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი გეგმები. გარდა ამისა, იყო კიდევ ადამიანური მანკიერების ისეთი გამოვლინება, როგორიცაა: ბოროტება, შური, ბოღმა, ბეზღობა, მზაკვრობა, დაუნდობლობა, გაუტანლობა, შურისძიება, ღალატი, სილაჩრე, მაამებლობა, კარიერიზმი.

ივანე ჯავახიშვილს ორჯერ მოუწყვეს „გასამართლება“ – 1930 წელს და 1936 წელს. მკითხველს ვთავაზობთ 1930 წლის დეკემბერში დიდი მეცნიერის წინააღმდეგ მოწყობილი თავყრილობის სტენოგრაფიულ ჩანაწერს.

* * *

**დრო:** 1930 წლის დეკემბერი.

**მოვლენა:** – საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა კონდრატიევშჩინის, ანუ ე.წ. „ბურჟუაზიული კადრების“ (ძველი პროფესურისა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების) წინააღმდეგ.

**ადამიანები**: – **ივანე ვაშაყმაძე** (საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, წითელი პროფესორი): „ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი წარმომადგენელი არის პროფ. **ივ. ჯავახიშვილი**. იდეოლოგიურად ის ძველი ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელია. მეთოდოლოგიურად **მხოხავი ემპირისტია და ანტიმარქსისტი**. განზოგადოებას და სინთეთიურ აზროვნებას ის გაურბის, ხოლო თუ მის ნაშრომებში შეხვდებით სინთეთიურ აზროვნებას, ის აუცილებლად ნაციონალისტური ბუნების იქნება. ამის გამო ისტორიული აზროვნება საქართველოში 1921 წლამდე ძალზე ჩამორჩენილი იყო და ნაწილობრივ **ივ. ჯავახიშვილის** მეოხებით ეხლაც ჩამორჩენილია. მრავალი წიგნები იწერებოდა, მაგრამ მათ ქონდათ უმთავრესად ხასიათი ფაქტების შემოწმების-გენეალოგიის აღდგენისა, თარიღების გამოკვლევის და მეფეების პირადი ცხოვრების აღწერის.

უმთავრესად ასეთ ჩამორჩენილობაში ბრალი მიუძღვის პროფ. **ივ. ჯავახიშვილს, თუმცა ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ფაქტების შეგროვების მხრივ ივ. ჯავახიშვილს აქვს დიდი ღვაწლი** – მაგრამ მხოლოდ ფაქტების შეგროვების მხრივ. ამიტომ **ივ. ჯავახიშვილის** ისტორია არ არის **ისტორია როგორც მეცნიერება**. საქართველოს მეცნიერული ისტორიის დამწერს ჯერ კიდევ უცდის საქართველოს ისტორია. ჯავახიშვილი და მისი მიმდევრები არ იცნობენ საზოგადოებრივ ფორმაციას, კლასთა ბრძოლის პრობლემებს. ისინი ისტორიის პერიოდიზაციას ქრონოლოგიის მიხედვით ახდენენ. ისტორიის ასეთი მეთოდოლოგია მე-18 საუკუნის ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიას არ სცილდება და, რა თქმა უნდა, წარმოადგენს რეაქციონურ მიმართულებას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ი. ჯავახიშვილმა მრავალი ნაშრომი გამოუშვა, მაგრამ წინმსვლელობა მეთოდოლოგიის მხრივ სრულიად არ ემჩნევა. მისი საქართველოს ეკონომიური ისტორია სრულიად უვარგისია. ეს არ არის ეკონომიური ისტორია, რადგანაც მასში ეკონომიკა სრულიად არა გაგებული სწორად და მეთოდოლოგიურად, ჯავახიშვილის შემოქმედებაში წინსვლა კი არა, უკან დახევაა“.



**პეტრე შარია**: „არ შემეძლო იმ მოკლე დროის განმავლობაში და სხვა და სხვა პირობების მიხედვით, არ მქონდა შესაძლებლობა, გავცნობოდე ყველა პროფესორის ნაწარმოებს, რომლებზედაც აქ იყო ლაპარაკი, მაგრამ ზოგიერთი პროფესორის გამოსვლა მე მაძლევს საშუალებას, შევეხო მათ იდეოლოგიურ ფრონტს. უმთავრესად ორ პროფესორზედ, რომლებიც ლაპარაკობდნენ, თუ როგორი იყო მათი მუშაობა, აგრეთვე, მათი მოღვაწეობა, როგორი არის მათი იდეოლოგიური ფრონტი. ისინი ეწევიან პოლიტიკურ საბოტაჟს. კრებაზე არ მოისურვეს დასწრება. ესენი გახლავთ ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი. ეს ხალხი, მართალია, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ უმაღლეს სასწავლებლებში იმისათვის, რათა თავიანთი პოლიტიკური ბაგაჟი დამალონ, არ გამოაშკარავონ, მაგრამ სად არიან, როდესაც აქ მათზეა ლაპარაკი. მათ არ იკადრეს მოსვლა. ეს არის პოლიტიკური საბოტაჟი. აკადემიური საბოტაჟი მაშინ იქნებოდა, თუ ისინი თავს დაანებებდნენ აკადემიურ ფორმებში მუშაობას და არ მოვიდოდნენ ლექციებზე. აი, თავიანთი რეაქციონური იდეოლოგია აქ გამოააშკარავეს მათ. აი, ეს აქტი არის პოლიტიკური აქტი და მას ჩვენ აუცილებლათ სათანადო შესაბამისი უნდა მივსცეთ“.

**ცხაკაია** (სტუდენტი): „მე მინდა ჯავახიშვილზე და მის სკოლაზე ვილაპარაკო. და ის შემცდარი აზრი, რომელსაც ატარებს დღეს პროფ. ჯავახიშვილი თავისი მიმდევრებით. აქ ლაპარაკობდენ, რომ პროფ. ჯავახიშვილი დიდი მეცნიერია, ეს სთქვა სიმონ ხუნდაძემ და ასევე განიმეორა მეგრელიძემაც, მაგრამ მე ვლაპარაკობ, რომ ეს მხოლოდ შირმაა, თორემ ეს კაცი არ წარმოადგენს ისეთ დიდ პიროვნებას, როგორც ზოგიერთებს გონიათ და არც ასეთი დიდი მეცნიერია. მისი მთელი წიგნები არის ემპირიული ფაქტები, ემპირიული ფაქტების დამგროვებელი. მას არ გააჩნია მეთოდი სწორი გაგებით. და ჩვენ კი ვიცით მარქსისტული თეორია, სადაც ლაპარაკი არის, რომ ფაქტები აუცილებლად ერთი მეორესთან უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული და ერთი მეორისადმი დაუკავშირებლობა ჩვენ არაფერს არ მოგვცემს. ჯავახიშვილს კი აქ არავითარი კავშირი არა აქვს. ისტორიული მატერიალიზმი ეს ისეთი მეცნიერება არ არის, რომელიც დიალექტიურ მატერიალიზმს ვერ შეითვისებს. ჩვენ გვინდა გარკვევით იქნეს ეს წინააღმდეგობა, კლასთა ბრძოლა გარკვევით იყოს ნაჩვენები“.

**სიმონ ჯანაშია**: „ამხ. მომხსენებელმა განიხილა ერთი ჯგუფი, რომელსაც ეწოდება ჯავახიშვილის ჯგუფი და მე სწორედ ამ ჯგუფს მიმაკუთვნა. მე უნდა განვაცხადო, რომ ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს, მან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს. ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობა განსაზღვრული არის იმ ფაქტით, რომ ჩვენ გვიხდება მუშაობა ერთ და იმავე ინსტიტუტში საქართველოს კათედრის (ადგილიდან: არ არის საკმარისი! ტაში).

**სიმონ ყაუხჩიშვილი:** „რაც შეეხება ჯანაშიას გამოსვლას, თავისი განცხადება დაიწყო დალაგებით, ფიქრში არ გადავცდეო. ეს საკმაოდ დარჩენილი ინტელიგენტია. თქვენ დარჩენილი ხართ ისევ ინტელეგენციის წრეში. ჩვენ თქვენ გიცნობთ. თქვენ ხართ ბურჟუაზიის შემეცნების. თქვენ ჯავახიშვილზედ არაფერი სთქვით, თქვენ სთქვით, რომ არ ვცემ პატივს მის შემეცნებას. ეს ყველამ გაიგო. ჩვენ ეს არ გვინდა, ჩვენ გვინდა გავიგოთ, ხართ თუ არა მიმდევარი მატერიალური დიალექტიკის, სცნობთ თუ არა, რომ ეს არის ნამდვილი პროლეტარიატის კლასის დიალექტიკა, თქვენ ეს არ სთქვით. ხართ თუ არა მომხრე ჯავახიშვილის. აგრეთვე ჩვენ ვიცნობთ თქვენ ნაწარმოებს, როგორიც არის „შადური“, „დამპატიჟე“, ჩვენ კარგად ვიცნობთ ჯავახიშვილის შემოქმედებას (ხანგრძლივი ტაში). მე უნდა მოგახსენოთ პროლეტარიატის ნებისყოფა. პროლეტარიატი შორს მჭვრეტელი არის... საჭირო არის გონს მოხვიდეთ მეცნიერებაში. არ შეიძლება გატარება ნაციონალურ იდეოლოგიის“.

**გაბუნია** (სტუდენტი): „აქ გამოვიდნენ სხვადასხვა პროფესორები, როგორიც არის ჟანაშია და სხვები. ჟანაშიამ წაიკითხა ლექცია მშვენიერად. ჟანაშიას აკადემიურ ცოდნას ჩვენ აქ არ ვეხებით, მხოლოდ ჩვენ გვინდა, როგორი თვალსაზრისის არის. პატივცემული ჟანაშია არის ახალგაზრდა კაცი და მან უნდა შეითვისოს დიალექტიური მატერიალიზმი და არა მარტო ფაქტების აღნუსხვით, როგორც ეს აქვს თავის წიგნებში პროფ. ჯავახიშვილს. შემდეგ პროფ. ყაუხჩიშვილის გამოსვლა. ის სრულებით არ შეხებია იმ საკითხებს, რომელიც დღეს სტუდენტებს აინტერესებს, ე.ი. როგორი კავშირი აქვს ჯავახიშვილის სკოლასთან“.

**ნიკო ბერძენიშვილი**: „მე თვითონ კარგად არ ვიცი, თუ რომელ დაჯგუფებაში ვარ, მაგრამ მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ არ ვიცი, რომელ დაჯგუფებაში მომათავსა პატივც. მომხსენებელმა პროფ. ივ. ვაშაყმაძემ (ვაშაყმაძე: ჯავახიშვილის). თუ ჯავახიშვილის ჯგუფში ვარ, უნდა განვაცხადო, რომ ჩემი აზრი არის სამწუხარო. მე არ უნდა მოგეთავსებინეთ ჯავახიშვილის ჯგუფში“... „არა, მე წავიკითხავ. მე ვიყავი რევოლუციონერი და ვაპირებ ყოფნას რევოლუციასთან როგორც პოლიტიკურად, ისე იდეოლოგიურად. მე სამსახურად ვფიქრობ, ამისათვის მზად ვარ. ამაში შეგიძლიათ თქვენ დარწმუნებული იყოთ. უკანასკნელი, რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პროფ. ივანე ჯავახიშვილთან, ასეთი არის. მე მას ულრმეს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, განსაკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ყველა ეს მე სრულიად არ მიშლის ხელს არ გავიზიარო მისი იდეოლოგიური კონცეპცია (ადგილიდან: ძირს, ძირს, ძირს, ძირს!).

**მელაძე** (სტუდენტი): „როდესაც სოციალისტურ ფრონტზე ჩვენ ვაწარმოებთ კლასობრივ შეტევას, მაშვინ თვითეული ჩვენთაგანი გარკვეულ გზას უნდა ადგეს და თვითეულმა უნდა იცოდეს, თუ ვინ როგორია და რას წარმოადგენს, ვინ ვისთვის იბრძვის. საჭიროა მისი პოლიტიკური ფიზიონომიის გამოაშკარავება. საჭიროა იმათი ფიზიონომიის გამოაშკარავება, რომლებიც ფიქრობდენ ჯოჯოხეთის მანქანების დადგმას და რომლითაც ფიქრობდენ, აეფეთქებინათ ჩვენი მშენებლობა. ასე მესმის საკითხი. ეხლა მე რეგლამენტი მითავდება, მაგრამ მე მინდა ვილაპარაკო ზოგიერთ ლექტორებზე. მათ არ ესმით ესტ... მათ უნდათ, დაიცვან თავიანთი დისტრადიცია. მე აქ გამოსულ უკანასკნელ დოცენტს უნდა ველაპარაკო, ეს არის გაგება ჯავახიშვილის აგენტობის. აქ გამოსული მთელი რიგი მეცნიერებისა იყო ჯგუფი ჯავახიშვილის თეორიის დამცველების. ისინი არიან ფორმალისტები, არიან ძველი რეაქციონერები, ანტისაბჭოთა აზრს იცავენ, ასაბუთებენ ჯავახიშვილს...“

**ყალიჩავა** (ასპირანტი): „რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთ ერთი ფაქტი. როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშვინ ჩვენი გრ. წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვტაო. ეს არის კონტრევოლიუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები. ჩვენ კი ვერ დაგვამარცხებს ვერავითარი დაბრკოლება, გადავლახავთ ყველაფერს და წავალთ წინ სოციალიზმისაკენ“.

**ხარატიშვილი** (ასპირანტი): „პროლეტარიატი მუდამ ყოფილა და იქნება გულახდილი და არ შეუშინდება არავითარი დაბრკოლებას, როგორც ამას ფიქრობენ ჩვენი მტრები ჯავახიშვილი და წერეთელიც (ტაში)“ (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 96).

**კონტრადიევშჩინასთან ბრძოლის შედეგი: 1931 წლის 28 მაისს საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიდან დაითხოვეს „ძველი პროფესურის“ წარმომადგენლები: ივანე ჯავახიშვილი, ანდრია ბენაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გრიგოლ წერეთელი, მიხეილ პოლიევქტოვი, გიორგი გეხტმანი.**

**ვახტანგ გურული**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ვაი მთავრობისგან

# აპი წამლები გაიაფდაო?!

**ამ ჩვენმა ნაციონალებმა მართალია ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა ჩაილურის წყლით გაჭყიპეს, მაგრამ სამაგიეროდ დემოკრატია და ფარმაინდუსტრია არნახული ტემპებით გაქაჩეს. აღარავის ახსოვს კომუნისტების ნაქებნანოლიავები „ელექტროდეპოები", მაგრამ წამლებით ჯანგაკაჟებულ ხალხს ველარ იტევს სოკოებივით მომრავლებული „ფარმადეპოები" და „ფარმაცენტრები". განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პრემიერმა ნიკა გილაურმა პარლამენტში სტუმრობისას საზეიმოდ განაცხადა — წამლები 40 პროცენტით გაიაფდაო, ხალხი ცუნამივით მიაწყდა აფთიაქებს, ბევრმა საერთოდ უარი თქვა ინფლაციით ხანძარმოდებული პროდუქტების შეძენაზე და მთლიანად ფარმაკვებაზე გადავიდა.**

მარტო ეს არ გახლავთ ის სიკეთე, რითაც ყოველ ნაბიჯზე გახსნილი აფთიაქები ქალსა თუ მამაკაცს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას ანდამატივით იზიდავს. როგორ არ მიგიზიდავს, როცა აქ, აფთიაქში შეიძლება გადაეყარო უამრავ, როგორც დღეს ამბობენ, „ცნობად სახეს", გაჭირვების გამო წლობით დავიწყებულ მეგობარს, ძველისძველ ნაცნობს, რომელიც იმქვეყნად კაიხნის გამგზავრებული გეგონა და თურმე აგერ არ ყოფილა, ცოცხალი და „საღსალამათი"(!ძ. ასე გადავეყარე ამ ორიოდე დღის წინათ „ფარმადეპოში" (ვაჟა-ფშაველას 6 ნომერშიძ, ერთ ჩემს სტუდენტობისდროინდელ ნაცნობს, რომელსაც ვერ დავაბრალებ, რომ ჩემი დანახვა ნამეტანი ესიამოვნა.

— ჯუმბერ, კაცო, — ვეუბნები, — ძალიან გამხდარი მეჩვენები, საჭმელს არა ჭამ?

— რა მესაჭმელება, თუ ძმა ხარ, ნეტა პენსია წამლების საყიდლად მამყოფინა.

— მასეთ რა წამლებს სვამ, რომ მთელი პენსია გეხარჯება?

— შენც იტყვი რა, ვითომ არ იცოდე, წამლებს რა ფასი ადევს.

— აკი 40 პროცენტით გაიაფდაო?

— ეგ რომელმა თქვა? — სახე დაეღმიჭა ჯუმბერს.

— რომელმა და ნიკა გილაურმა, მაგხელა თანამდებობის კაცი, თანაც პარლამენტის სხდომაზე, ტყუილს როგორ იკადრებდა? — დავიზღვიე თავი.

— თორემ ჯერაც არ უკადრებია, მაგისმა მზემა, სუ ტყუილებით არა გვკვებავენ?

— აბა რას ამბობ, — შევედავე, — შენ გილაური სააკაშვილში ხომ არ გეშლება?

— არაფერიც არ მეშლება, — გაჯიუტდა ჯუმბერი, — ორივენი (მათთან ერთად მთელი მთავრობაძ ტყუილების დიდოსტატები არიან. გილაურმა, ეტყობა, სიზმარში ნახა წამლების გაიაფება, მე კი აი ფაქტი მიჭირავს ხელში.

— რა ფაქტი? — დავინტერესდი.

— აი თუნდაც პროსტატიტის სამკურნალო მედიკამენტი „ომნიკ-ოკასი", რომელსაც ასაკოვანი მამაკაცების 70-80 პროცენტი მოიხმარს. ადრე მას ამ აფთიაქში („ფარმაცენტრში"ძ 36 ლარად ვიძენდი, ახლა კი იმავე წამალში 60 ლარსა მთხოვენ.

— რას მეუბნები, ნუთუ ამდენით გაიზარდა ფასი? — განვცვიფრდი — „ფარმადეპოსა" და „ფარმაცენტრში" ხომ ყველა წამალს დიდი ფასდაკლებით ყიდიან.

— სწორედ ფასდაკლებით გეუბნები, თორემ ისე კაი 82 ლარი გამხდარა. თანაც მარტო ეს წამალი ხომ არ მჭირდება, მასთან ერთად უამრავ სხვა რამესაც ვსვამ.

— ბოლო-ბოლო რა ქენი, „ომნიკ-ოკასი" ვერ იყიდე?

— ვერა, მაგრამ აქაური პროვიზორის რჩევით, მისი შემცვლელი „სალოვერი" ავიღე. ეს გაცილებით იაფად (39 ლარადძ მომცეს, თანაც საჩუქრად 10 კაფსულა დაამატეს.

— გაკეთებულხარ და ეგ არი, — შევაქე, — მაგრამ სადაური წარმოებისაა ეგ პრეპარატი, არ გიკითხავს?

— აქაური, „ავერსი-რაციონალი" უშვებს. როგორც მაგ ქალბატონმა ამიხსნა, საქართველოში გამზადებული კაფსულები შემოდის კანადიდან, რომელსაც „ავერსი" მხოლოდ ფუთავს, თანაც შეფუთვის ფასს ყოველთვიურად უმატებს.

— ეგ საიდანღა დაასკვენი?

— საკუთარი გამოცდილებიდან, წინა თვეში რო ვიყიდე, „სალოვერი" 37 ლარი ღირდა, ახლა 39 წამოლითეს. ასე თუ გააგრძელეს, მალე 50 ლარზე გავლენ.

— მე გასწავლი, როგორ მოიქცე — ერევანში უნდა წახვიდე წამლების შესაძენად. როგორც მითხრეს, „ავერსი-რაციონალს" თავისი შენაფუთარი პროდუქცია საექსპორტოდ საზღვარგარეთ გააქვს და იქ გაცილებით იაფად ყიდის.



— მასე, შე კაცო, ბარემ მოსკოვში ჩავალ და იქ ვიყიდი, მეუბნებიან იქ წამლები, ჩვენთან შედარებით, ჩალის ფასად იყიდებაო.

მეგონა, ხუმრობდა, მაგრამ ჯუმბერი მართალი აღმოჩნდა. ჩვენი საუბრიდან მეორე დღეს გაზეთმა „რეზონანსმა" გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უძვირეს ქალაქში (მოსკოვშიძ მედიკამენტების დიდი ნაწილი ბევრად იაფია, ვიდრე საქართველოში. მაგალითად, „ანალგინი" ლარზე გაანგარიშებით მოსკოვში 21 თეთრი ღირს, თბილისის აფთიაქებში კი მისი ფასი 30 თეთრიდან 55 თეთრამდე მერყეობს. „ამპიცილინი", რომელიც ჩვენთან 2,85 ლარად იყიდება, იქ 1,05 ლარად შეიძენთ. „სტრეპტოციდი" მოსკოვში 8 თეთრი ღირს, საქართველში კი — 30 თეთრი(!ძ.

შედარებისათვის აღებულია 12 მეტ-ნაკლებად მოთხოვნადი მედიკამენტი, საიდანაც მოსკოვში თბილისზე ძვირად მხოლოდ 3 მათგანი იყიდება. 300 მგ-იან „აპროველს" საქართველოში 46.20 ლარად შეიძენთ, მოსკოვში კი იგივე წამალი 36,46 ლარი დაგიჯდებათ. ქართული წარმოების „ანაპრილინის" ფასი თბილისის აფთიაქებში 1,44 ლარია, რუსული წარმოებისა კი მოსკოვში — 0,80 ლარი. ყველას სად ჩამოთვლი, მაგრამ დასახელებული მედიკამენტების ფასთა სხვაობა რომ ჩვენ სასარგებლოდ არ მეტყველებს, ეს ცხადზე უცხადესია. სულ რამდენიმე დღის წინათ კი პრემიერი ნიკა გილაური და ჯანდაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე პარლამენტარებს უმტკიცებდნენ, საქართველოში წამლები მნიშვნელოვნად გაიაფდაო.

რაც მთავარია, წამლების სიიაფე თავისით, ინერციით კი არ მოვიდა ქვეყანაში, მთავრობამ, ჯანდაცვის სამინისტრომ, რომლებსაც ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვაში უთენეულამებიათ, თავაუღებლად იშრომეს, ილვაწეს, ოფლი ღვარეს და შედეგს ამ ჯვარცმის ფასად მიაღწიეს. როგორც ბატონმა ანდრია ურუშაძემ პარლამენტში სამთავრობო კვირეულზე გამოსვლისას განაცხადა, „ბოლო პერიოდში მედიკამენტები საგრძნობლად გაიაფდა, რაც კონკურენციის გაზრდამ განაპირობა. მისი თქმით, ქვეყანაში განვითარდა ახალი სააქციო ქსელები, რომლის შედეგადაც ბევრი დასახელების მედიკამენტის ფასი 30-50 პროცენტით შემცირდა. საქართველოში დღეს 607 ავტორიზებული აფთიაქი მოქმედებს. აქედან 214 2010 წლიდან ამოქმედდა, მას შემდეგ, რაც გამარტივდა რეგისტრაციის პროცესი. დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ გაიხსნა 892 ე. წ. ოფისის პრეპარატებით მოვაჭრე საააფთიაქო ქსელი. ამ სექტორში სწორედ თავისუფალმა კონკურენციამ გახადა შესაძლებელი ფასების შემცირება და კონკურენტული გარემოს შექმნა. მინდა გითხრათ, რომ ბოლო კვლევების შედეგად წამლების ფასის შემცირების ტენდენცია მყარია და ჩვენს რეგიონში არსებულ სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ფასი ფიქსირდება", — დასძინა მინისტრმა.

**მახსოვს, ამ ერთი წლის წინათ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჯანდაცვის წინა მინისტრს რომ უსაყვედურა — რას გავს ეს, ფარმაცევტული ბაზარი თურმე სავსეა მონოპოლისტი კომპანიებით და ამის გამოა, წამლების ფასს ცეცხლი რომ უკიდიაო. როგორც ჩანს, სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა პრეზიდენტის სამართლიანი შენიშვნა, მონოპოლისტური ბაზარი სასწრაფოდ კონკურენტულით შეცვალა და მედიკამენტებიც ჩალის ფასი გახადა... ერთადერთი, რაც გამოუსწორებელი დარჩა, თავად წამლების მომხმარებელი ღატაკი მოსახლეობაა, რომელმაც საკუთარ ჯიბეზე ვერა და ვერ იგრძნო ფარმაბაზარზე განხორციელებული „რევოლუციური ცვლილებების" სიკეთე. სამაგიეროდ კიდევ უფრო განიმტკიცა რწმენა იმისა, რომ ამდენი ტყუილების ფონზე. მთავრობამ შუბლის ძარღვი საერთოდ გაიწყვიტა.**

**ოთარ ხუციშვილი**

საჭირბოროტო კითხვა

# ვინ არის ბატონი კობა ნაყოფია?

**ასეთი კითხვა ბოლნისელებმა არ უნდა დასვან, რადგან ბატონი კობა ნაყოფია ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატია და არა დოქტორი ზორგე, რომლის ვინაობა და ის თუ რომელი ქვეყნის სასარგებლოდ აგენტობდა, რამდენიმე ქვეყნის დაზვერვამ და კონტრდაზვერვამ ვერ დაადგინა.**

ასეთი კითხვა დღეს ბოლნისის რაიონში მაინც ისმის, რადგან მას შემდეგ რაც ბატონი კობა პარლამენტარი გახდა, ისე როგორც შორეული ნაოსნობის კაპიტანზე, მასზეც არავინ არაფერი იცის — ბატონი კობა ერთხელაც არ ჩამოსულა ბოლნისში დეპუტატობის მოვალეობის შესასრულებლად.

ბატონ კობა ნაყოფიაზე ამ ბოლო ხანებში ალაპარაკდნენ, პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ ბატონ ნაყოფიას ქონება 500 მლნ დოლარს შეადგენს, „კეთილად" იგონებენ მათ, ვისი ძალისხმევითაც ბატონმა კობამ არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

წინასაარჩევნო კამპანია ახალი დაწყებული იყო, როცა ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერებთან ერთად ბოლნისის რაიონის სოფ. დარბაზში ავედით (მაინტერესებდა იმ სოფლის ამომრჩევლების აქტიურობა არჩევნებზეძ. სოფელში ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერები ოთხ ჯგუფს შეხვდნენ. არც ერთმა ჯგუფმა მათი მოსმენა არ ისურვა: „შტო ვი გავარიტე სლუში, ტრიდცატ ლეტ ნამ დაროგა ნე რემონტირავალი, ვოტ ნაკოფია რემონტირუეტ. მი ვსე ბუდემ ზა ნეგო გოლოსოვატ". სოფლის შესასვლელში მართლაც მუშაობდა გრეიდერი და სოფელში შემოტანილ ხრეშს გზაზე ასწორებდა.

სოფლის თავკაცების წინააღმდეგობის გამო ამომრჩევლებთან შეხვედრა არ შედგა.

ბოლნისში დაბრუნებულებმა დიდხანს აპროტესტეს, რომ ბატონ ნაყოფიას არ ჰქონდა უფლება „მადნეულის" ტექნიკა სოფლის გზის სარემონტოდ გამოეყენებინა, რომ ეს ხალხის მოსყიდვა იყო, მაგრამ სად უნდა ეპოვნა მათ სამართალი, იქნებ ბოლნისის საოლქო კომისიაში?

იმ დღეებში ბატონი კობა ქალაქ ბოლნისში პედაგოგებს შეხვდა. ერთ-ერთი პედაგოგის შეკითხვას, „მადნეულის" გენერალურ დირექტორს რაში სჭირდებოდა პარლამენტარობა, ბატონმა კობამ უპასუხა, რომ მას სურს საკუთარი გამოცდილება ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე მთელ ქვეყანაში გაავრცელოს (მადნეულში მაშინ ახალი საბადოების გახსნის გამო, მართლაც მიიღეს სამუშაოდ რამდენიმე კაცი, რომლებიც ოთხ თვეში ისევ გაანთავისუფლეს და ბევრი ძველი თანამშრომელიც მოაყოლესძ.



ამომრჩევლის კითხვაზე ასეთი პასუხი ნათლად მიუთითებს, რომ ბატონ კობა ნაყოფიას ან წარმოდგენა არ ჰქონდა იმ მოვალეობაზე რაც მას, როგორც პარლამენტარს უნდა შეესრულებინა, ან სურდა პარლამენტარობა თავისი პირადი მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინა.

2009 წლის ზაფხულში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ჯგუფმა თხოვნით მიმართა ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატის სამდივნოს: აინტერესებდათ რატომ მოიმატა მორწყვის საფასურმა და რა საჭირო იყო შუამავალი ასოციაციების დაფუძნება, რომლებიც მხოლოდ ფულს კრეფდნენ მიწათმოსარგებლეებისაგან.

მაჟორიტარი დეპუტატის სამდივნომ მათი შეკითხვა სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურაში გადააგზავნა, საიდანაც პასუხს ალბათ დღესაც ელიან.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

პრობლემები, პრობლემები

# სად გააქრო ხელისუფლებამ ზარ-ზეიმით შემოყვანილი იაპონური ტრაქტორები?!

**ქართველი გლეხი დიდი ხანია მიხვდა, რომ ქვეყანას ადრე თუ გვიან შიმშილობის ზღვარი დაუდგებოდა. მიხვდა იმიტომაც, რომ მიწათმოქმედთა ქვეყანაში „ვარდების რევოლუციამ“ მიწაზე მუშაობა, სოფლის მეურნეობისთვის გაძღოლა არამოდურ ტენდენციად აქცია. „ახალი ქართველები“ კიდევ უფრო „გაახლდნენ“ და სოფელს ზურგი აქციეს. და რა მივიღეთ? — ის, რომ დღეს ჩვენი სასურსათო კალათის 80 პროცენტზე მეტი უცხოური წარმოშობის საქონელს უკავია. ბაზარში ადგილობრივი ლობიო „ბათუმელა“ 8 ლარი ღირს, „გურულა“ — 6 ლარი, ხოლო შუა აზიისა — 2,50-3 ლარის ფარგლებში მერყეობს. ქართული წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტები დეფიციტური და შესაბამისად, ძვირი გახდა.**

თუმცა საააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე თითქოს მზრუნველობა დაიწყო ჩვენს სახელმწიფოზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე... ყველას კარგად გვახსოვს, როგორი ზარ-ზეიმით შემოიყვანეს იაპონური თანამედროვე ტრაქტორები მიწების სახნავ-სათესად. ყველა სოფელსა თუ რაიონს გაუნაწილეს. დოვლათი და ხვავი არ უნდა მოჰკლებოდა ჩვენს ბეღელსა თუ ნალიას, მაგრამ... წლების გასვლის შემდეგ კვლავ სამწუხარო რეალობას შევეჩეხეთ. არაფერი შემოგვრჩა: აღარც დახნული მიწები, აღარც მოწეული მოსავალი და აღარც... ტრაქტორები (ნეტა, სად გაქრა?!).



მიწას ისევ „საბჭოური მახინებით“ ხნავენ



...წელსაც ნელ-ნელა, ზლაზვნით შემოვიდა ჩვენთან გაზაფხული. როგორც წესი, ადრიანი მზის სითბო დასავლეთ საქართველოს უფრო ეტყობა ხოლმე. დიდი ხანია იქ ესპანური იასამნის განსაკუთრებული სურნელი ათრობს არემარეს. ნარცისები, ყოჩივარდები, ფურისულები და ცისთვალები გადაიპენტნენ ველებზე... ალბათ, არაფერს უხდება ისე გაზაფხული, როგორც სოფელს. მაგრამ უკვე მერამდენე წელიწადია ულიმღამოდ ეგებებიან გლეხები მზესა და ათინათისგან გამთბარ მიწას. გაუჭირდა ქართველ კაცს სიღარიბესთან ჭიდილი...

გუთნის მაგივრად დიდმა სოციალიზმმა ტრაქტორი აჩუქა გლეხობას. გაიზარდა დოვლათი და აღორძინდა ეკონომიკა. გეგმიური გადაჭარბებული ხუთწლედები შეიძლება კარგ მოგონებად არ რჩება, მაგრამ კომუნიზმმა მშიერი გლეხი და მუშა არ იცოდა. ყველას ჰქონდა სარჩო-სანოვაგე, ვისაც ხელის განძრევა არ ეზარებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ XXI საუკუნეში, ჩვენს სოფლებში სწორედ გასული საუკუნის დრომოჭმული ტრაქტორები დაბობღავენ. და თუ სადმე დღეს მიწა იხვნება, სწორედ ეს „მახინები“ მუშაობენ.

ამ გაზაფხულზე როცა ჩემს სოფელს ვესტუმრე, მეზობლები გარეთ გამოფენილნი დამხვდნენ. რა თქმა უნდა, საგაზაფხულო სამუშაოებზე ბჭობდნენ... თბილისის ამბები გამომკითხეს და პირველი, რაც იყო, ჰიბრიდული სიმინდის სიავკარგობით დაინტერესდნენ. მე კი პირიქით, მათგან ველოდი პასუხებს.

— აბა რა გითხრათ, აგერ ჩვენს მეზობლებს გასულ წელს დაუთესავთ, კარგიაო, ამბობენ, მაინცდამაინც გადასარევი მჭადი არ გამოდის, მაგრამ ღომი კარგი იცისო.

**— მერე რას აპირებთ, უნდა დათესოთ? — ვეკითხები.**

— დავთესავ, ვნახავ რა არის, ცალკე ნაკვეთი მაქვს, იქ ჩვენებურს დავთესავ და იმას ოჯახში მოვიხმართ. თუ არ მომეწონა ჰიბრიდული სიმინდი, საქონელსა და წვრილფეხს ვაჭმევ, ჩალაც კარგი იცისო და საქონელს ხომ მაინც გამომაზამთრებინებს.

**— მართლა ასე ძვირია თესლი?**

— რა თქმა უნდა, ძვირია, კილო 17 ლარი ღირს. სულ ორასი ლარის თესლი გვჭირდება, მაგრამ კარგი ისაა, რომ ფული შემოდგომაზეა გასასტუმრებელი. იქამდე ან დავიქცევით, ან ავშენდებით.

ამასობაში გამაყრუებელი ხმაურით გამოჩნდა ძველთაძველი ტრაქტორი. კაცები მძღოლს შემოეხვივნენ. ყველა თავისი მიწის მოხვნას სთხოვდა. ტრაქტორისტმაც განრიგი შეადგინა და გზას გაუდგა. უშველებელი გაცრეცილი ბორბლიდან „კამერა“ გარეთ იყო გამობურცული, ლამისაა ნაწილებად უნდა დაშლილიყო.

**— ამის მეტი სოფელში ტრაქტორი არ არის, ეს რისი დამხნავია? — ვიკითხე გაოცებულმა.**

— ამას რომ უყურებ, ორ სოფელს გვემსახურება. რამე რომ დაემართოს, დავრჩებით მოსავლის გარეშე. ესაა, სოფლის გამგებელი და გამგეობა? ერთი არ მოსულან ხალხთან, არ უკითხავთ, რა გიჭირთ, რა გჭირდებათ, რითი დაგეხმაროთო. სად არის ის იაპონური ტრაქტორები, თუ ხალხისთვის არ უნდოდათ, აბა რისთვის ჩამოიყვანეს?! ორი-სამი დღე საჩვენებლად იდგა, მერე რომ გააქრეს, თვალით არავის უნახავს. ამ ძველ ტრაქტორს საწვავიც მეტი უნდა და გადასახადიც. ერთი ბორბალი 500 დოლარი ღირს და აბა, როგორ გამოუცვლის, თუ ფულს ჩვენ არ მივცემთ...

მოკლედ, სოფელს იმის გარდა, რომ უამრავი საზრუნავი აქვს, ხელისუფლების უგულისყუროებაც არანაკლებ გულს სტკენს. მხოლოდ ტელევიზორიდან დანახული პარლამენტის ტრიბუნაზე შემდგარი ხელისუფლება და მათი შეპირებები ხალხს ნუგეშს ვერ აძლევს.

ბაზარი და სუპერმარკეტები ამ რეალობის ყველაზე კარგი ბარომეტრია. ის, რაზეც გლეხობა წუწუნებს, თვალნათლივ ჩანს ჩვენს დახლებზე: ან არ არის ქართული პროდუქცია, და თუ არის, ის ქართველი მომხმარებლის ოჯახის ბიუჯეტისთვის ხშირად მიუწვდომელია.

სხვათა შორის, ჩვენი წერილი რომ სუბიექტურ მოსაზრებად არ დარჩეს, მაგალითად სტატისტიკურ მონაცემებს მოგიყვანთ — თუ როგორია ჩვენი სოფლის მეურნეობა ციფრებში? 2005 წლიდან კატასტროფულად შემცირდა ნათესების ფართობები, შესაბამისად შემცირდა წარმოება. თუ მაშინ 190 ათას ტონა ხორბალს ვაწარმოებდით, გასულ წელს მხოლოდ 54 ათასი ტონა მოვიწიეთ. სიმინდის წარმოებაც 421 ათასი ტონიდან — 291 ათას ტონამდე განახევრდა, ლობიო 23 ათასი ტონიდან — 10 ათას ტონამდე. თუ კარტოფილი 2005 წელს 432 ათასი ტონა მოგვყავდა, სულ რაღაც ხუთ წელიწადში 217 ათას ტონამდე ჩამოვიდა, ბოსტნეული 437 ათასი ტონიდან 170 ტონამდე, ხილი 281 ათასი ტონიდან 181 ათას ტონამდე, ბაღჩეული 120 ათასი ტონიდან 44 ათას ტონამდე... იგივე მდგომარეობაა მეცხოველეობაში, თუკი ხუთი წლის წინათ 105 ათასი ტონა ხორცი იწარმოებოდა, ახლა ეს ციფრი 54 ათასი ტონაა, რძე 765 ათასი ტონიდან 551 ათასი ტონა გახდა, კვერცხი 505 მილიონი ცალიდან, 431 მილიონი..

ამ ციფრების შემდეგ ხელისუფლების ფიცი-მტკიცი, აქაოდა მსოფლიოში ყველგან ყველაფერი გაძვირდა და ჩვენ რა ვქნათო, ძალიან უსუსურია. ქვეყანამ თითქმის ყველა დარგში სოფლის მეურნეობის წარმოება გაანახევრა და ვის უნდა გაუკვირდეს, რატომ გახდა ფუთი სიმინდი 30 ლარი, კარტოფილი და ხახვი — 2 ლარი, სოფლის კვერცხი 40 თეთრი, ლიტრი რძე — 2 ლარი, ვაშლი — 5 ლარი, რატომ გვიკვირს, რომ ადგილობრივ ბაზარს ცეცხლი უკიდია?!

**თუმცა პრობლემას ყოველთვის შეიძლება მოევლოს, თუკი გონივრული გამოსავალი იქნება ნაპოვნი. მაგრამ სანამ მთავრობა სოფლებს მოჩვენებით 150 მილიონს გამოუჩენდეს, ამ ეტაპზე იქნებ ის იაპონური ტრაქტორები გამოიყვანოს და რამენაირად ხელი წააშველოს ქართველ გლეხს?!**

**თეა მოსია.**
**ზუგდიდი-კოლხიდა.**

---

ამას წინათ ბოლნისელებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატი და ამჯერადაც უშედეგოდ.

რაიონში ყველამ იცის, რომ ძალიან ბევრ ოჯახს მიწის ნაკვეთი საერთოდ არ აქვს. უფრო მეტიც — მცირე მიწისნაკვეთიანია. ასეთი მდგომარეობის მიუხედავად აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სამხრეთ აფრიკიდან ჩამოიყვანა ბურები და სურს მიყიდოს მათ სახელმწიფო და არა ხელისუფლების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

ჩვენ ვესაუბრეთ ახალგაზრდა იურისტთა კავშირის წარმომადგენლებს, რომლებმაც ვერ მოიძიეს კანონი, რომელიც ნებას რთავს აღმასრულებელ ხელისუფლებას გაასხვისოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები.

როგორც პრესის ფურცლებიდან გახდა ცნობილი, ბურებს მას შემდეგ გაუჭირდათ, რაც სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდი გაუქმდა. მათ საქართველოში ჩამოსვლისთანავე განუცხადებიათ, რომ მიწა უნდათ საკუთრებაში, მიწა რომელიც მათი იქნება.

როგორც ვიცით, მათ მიწის ნაკვეთები და ინფრასტრუქტურა არ მოსწონებიათ; წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემა არ იქნებოდა, თუ სამხრეთ აფრიკაში გაუქმდა აპარტეიდი, აქ საქართველოში მას საფუძველს ახლა უყრიან, თუ იქ მიწების ჩამორთმევაზეა საუბარი, აქ ფული გადაუხადონ ხელისუფლებას და რამდენიც სურთ იმდენს მიიღებენ.

ასეთია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და კობა ნაყოფიას სურვილიც რომ ჰქონოდა, ბოლნისელ ამომრჩევლებთან ვერ ჩავიდოდა.

ბატონი შალვა ნათელაშვილი მოითხოვს, გაუქმდეს მაჟორიტარი დეპუტატის ინსტიტუტი. დავიჯეროთ, მარტო მაჟორიტარი დეპუტატის ინსტიტუტის გაუქმებაა საჭირო?

ჩვენი აზრით, ერთი პარლამენტარის მიერ დროის მცირე მონაკვეთში ნახევარი მილიარდი დოლარის შოვნა საქართველოში განხორციელებული „დემოკრატიული“ რეფორმების შედეგია.

ბატონი კობა ნაყოფია, როგორც ბატონი პრეზიდენტი ბრძანებს, „ახალი პოლიტიკური კლასის“ ღირსეული წარმომადგენელია, ქვეყანაში განხორციელებული „რევოლუციური“ რეფორმების ერთ-ერთი შემოქმედია და კითხვა, თუ ვინ არის ბატონი კობა ნაყოფია, უადგილოა.

**ნუგზარ კობახიძე,**
**ქ. ბოლნისი**

---

ინფორმაცია

## ტურისტების რიცხვმა იმატა

**ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2011 წლის იანვარ-მარტში, საქართველოს 486 506 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 41%-ით აღემატება.**



**2011 წლის იანვარ-მარტში, ევროპის ქვეყნებიდან (დსთ-ს ქვეყნების გარეშე) საქართველოში 170 566 ვიზიტორი შემოვიდა (შემოსულ ვიზიტორთა 35,1%), რაც გასულ წელთან შედარებით 41%-ით მეტია.**

**სააგენტოს მონაცემების მიხედვით, სამ თვეში, დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულია 298 396 ვიზიტორი (ვიზიტორთა 61,3%), რაც 2010 წლის იანვარ-მარტის მაჩვენებელთან შედარებით 41 %-ითაა გაზრდილი.**

**ამავე პერიოდში, ამერიკიდან შემოვიდა 4 423 ვიზიტორი (შემოსულ ვიზიტორთა 0,9%), რაც 2010 წლის სამი თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე 28%-ით მეტია, აზიის ქვეყნებიდან — 12 085 ვიზიტორი (შემოსულ ვიზიტორთა 2,5%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 69%-ით აღემატება, აფრიკიდან — 354 ვიზიტორი (შემოსულ ვიზიტორთა 0,1%), რაც გასული წლის მაჩვენებელს 83%-ით აღემატება, ხოლო დანარჩენი მსოფლიოდან — 682 ვიზიტორი (ვიზიტორთა 0,1%), რაც გასული წლის მაჩვენებელს 7,7%-ით აღემატება.**

**აღნიშნულ პერიოდში, დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულ ვიზიტორთა (298 396) უდიდესი ნაწილი აზერბაიჯანზე მოდის. კერძოდ, აზერბაიჯანიდან შემოვიდა 139 706 ვიზიტორი (დსთ-ს ქვეყნების ვიზიტორთა 46,8%), რაც გასული წლის სამი თვის ანალოგიურ მაჩვენებელს 36%-ით აღემატება. სომხეთიდან შემოვიდა 107 713 ვიზიტორი (დსთ-ს ვიზიტორების 36%), რაც გასული წლის იანვართან შედარებით 50%-ით მეტია.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისი შეტევაზე გადავიდა

**თბილისმა ოფიციალური კომენტარი გაუკეთა პარასკევს აფხაზეთის საზღვარზე მომხდარ სროლებს, რის შედეგადაც დაიღუპნენ რუსი ოფიცერი და ორი ქართველი დივერსანტი. საქართველო ირწმუნება, რომ მის მოქალაქეებს ეძებდნენ რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოები მძიმე დანაშაულის ბრალდებით. აფხაზეთს სრულიად სხვა ვერსია აქვს.**

მომხდარ ინციდენტში, რომლის შედეგადაც დაიღუპა რუსი ოფიცერიც, საქართველო ხედავს იმის დამტკიცებას, რომ მისგან გამოყოფილი რესპუბლიკა გახდა კრიმინალებისთვის „შავი ხვრელი“. „ამ რესპუბლიკებში სახეზეა იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა, ბირთვული მასალების პროპაგანდა, ტრეფიკინგი, ტერორისტული აქტების ორგანიზება საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. იქ ხდება რეგულარული კრიმინალური გარჩევები რუსეთის საოკუპაციო ჯარებს შორის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებსა და დამნაშავეებს შორის“, – განაცხადა შაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

საგარეო-პოლიტიკური უწყება ამტკიცებს, რომ ერთ-ერთი მოკლული თითქმის ათი წელია იძებნება ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მძიმე დანაშაულებების ბრალდებით. უფრო მეტიც, მას თითქოს დაუსწრებლად გამოუტანეს კიდეც განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 19 წლით.

სოხუმს, სხვათა შორის, მომხდარის თავისი ვერსია აქვს. შაბათს, როგორც აფხაზეთის სპეციალური დანიშნულების ცენტრის წარმომადგენლებმა განაცხადეს, განადგურებული დივერსანტები აპირებდნენ ტერორისტული აქტის მოწყობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

„არის სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი მოქმედებდნენ მიზანდასახულად ტერორისტული აქტების მოწყობისთვის იმ ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც 25 კაცამდე ითვლის, ძირითადად გალის რაიონის ზემო ზონაში“, – გვაცნობეს ცენტრში.

როგორც ჩვენი გაზეთი უკვე იტყობინებოდა, ინციდენტი მოხდა პარასკევს დაახლოებით 14 საათზე მოსკოვის დროით, სოფელ ჭუბურხინჯში, რუსეთის მესაზღვრეების მიერ გეგმიური პატრულირების დროს. არასაცხოვრებელი სახლების დათვალიერების დროს ერთი მათგანიდან პატრულს გაუხსნეს ცეცხლი, რის შედეგადაც, დადასტურებული მონაცემებით, ადგილზე დაიღუპა ჯგუფის უფროსი პოდპოლკოვნიკი ვასილი კვიტკო, ხოლო მეორე მესაზღვრემ ვასილი დონოვმა უმნიშვნელო ჭრილობა მიიღო.

საპასუხო ცეცხლით წერტილი, საიდანაც ისროდნენ, ჩაახშეს. ხანმოკლე ბრძოლების შედეგად დაიღუპა ორი მამაკაცი.

ერთ-ერთი მათგანის პიროვნება დაადგინეს ადგილზე გალის რაიონის სამართალდაცვის ორგანოების თანამშრომლების მოსვლისთანავე. ის ლაშა სიჭინავა აღმოჩნდა, 1975 წელს დაბადებული, ზუგდიდის მკვიდრი, რომელსაც ეძებდნენ 2008 წელს აფხაზეთის მოქალაქე ასლანძიას გატაცებისთვის,



სოფელ ჭუბურხინჯში 2010 წლის 29 იანვარს მომხდარ ტერაქტში, აფხაზეთის ორი მოქალაქის აშუბასა და კეკელიას მკვლელობაში მონაწილეობისთვის. მეორის პიროვნება ზუსტდება“, – გვითხრეს სახელმწიფო უშიშროების სამსახურში.

რესპუბლიკის სპეციალური დანიშნულების ცენტრში გვაცნობეს, რომ იმ სახლის დათვალიერების დროს, საიდანაც ისროდნენ, აღმოაჩინეს 4 ყუმბარა და 2 ავტომატი საბრძოლო აღჭურვილობით. ცენტრის მონაცემებით, თავდამსხმელები ეკუთვნოდნენ კრიმინალურ ჯგუფს, რომელიც ადრე ეწეოდა ძარცვას, ხალხის გატაცებას გამოსასყიდის მისაღებად და მათზე ძიება იყო გამოცხადებული.

მოგვიანებით აფხაზეთის სამართალდაცვის ორგანოებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დივერსანტები დაკავშირებული იყვნენ საქართველოს სპეცსამსახურებთან. კერძოდ მათი ამოცანა იყო გალის რაიონში დაძაბულობის შენარჩუნება.

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ამ შეიარაღებულმა ჯგუფმა, ამტკიცებენ სამართალდაცვის ორგანოები, მოაწყო დაახლოებით 8 თავდასხმა და ადგილობრივი მოსახლეობის გატაცება.

რუსეთის ოფიცრის მკვლელობასთან დაკავშირებით გალის რაიონის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ერთბაშად რამდენიმე მუხლით: „ტერორიზმი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით“, „პიროვნების მკვლელობა მის მიერ სამსახურებრივი საქმიანობის დროს საერთო საშიში ხერხით“, „იარაღის უკანონო ვაჭრობა შესრულებული პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით“, გადმოგვცემს „იტარ-ტასი“.

„თავდამსხმელების ცხედრები გადაყვანილია სოხუმში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს გამოკვლევა. მოკლული მესაზღვრის ვიტალი კვიტკოს სხეული გაგზავნილია ქალაქ დონის როსტოვში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისთვის“, – იტყობინება აფხაზეთის გენერალური პროკურატურა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# რუსეთი საქართველოს ენერგეტიკაში: ბიზნესი თუ პოლიტიკა?

**საქართველოს მთავრობა რუსეთის კომპანია „ინტერ რაო ეესს“ ჰყიდის ორ ჰიდროელექტროსადგურს, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობა თბილისსა და მოსკოვს შორის კვლავ მეტად დაძაბულია.**

საკითხი შეეხება ჰიდროელექტროსადგურების კასკადს მდინარე ხრამზე – „ხრამჰეს-1“ და „ხრამჰეს-2“-ს, რისთვისაც საქართველოს მთავრობა რუსი გიგანტისაგან მიიღებს 104 მილიონ დოლარს.

ეს გადაწყვეტილება, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის სიტყვებით, ხელსაყრელია როგორც ეკონომიკური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. „ინტერ რაო ეესი“, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა, სამ ჰიდროელექტროსადგურს ააშენებს და ინვესტიციებს გაიღებს პროექტზე 193 მილიონი დოლარის ოდენობით.

„კომპანიასთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება მდინარე ხრამზე ჰიდროელექტროსადგურების დამატებითი ინვესტიციების შესახებ 90-100 მეგავატი ჯამური სიმძლავრით, – განმარტა ხეთაგურმა. – შესაბამისად, მიღებული იქნა ასეთი გადაწყვეტილება, ვინაიდან ეს ეკონომიკურად ხელსაყრელია ქვეყნისთვის“.

თბილისში მიაჩნიათ, რომ ორი ჰიდროელექტროსადგურის გადაცემა გახდება სტიმული რუსეთის კომპანიისთვის, რომელსაც აქამდე ჰქონდა მხოლოდ მათი მართვის უფლება 2024 წლის ბოლომდე.



ამ ინფორმაციას ადასტურებენ მოსკოვშიც. „ინტერ რაო ეესის“ ჯგუფი მზად არის იყოს „ხრამჰეს-1“-ისა და „ხრამჰეს-2“-ის აქციების 100 პროცენტის მყიდველი, – ნათქვამია რუსეთის კომპანიის ცნობაში. ამ დროს მისი პრესმდივანი ნიკოლაი გორელოვი აღნიშნავს: პრივატიზაციის პროცესი ჯერ არ დამთავრებულა.

„ჩვენ დაინტერესებული ვართ ამ აქტივების შესყიდვით და შესაბამისად ველოდებით ქართული მხარის გადაწყვეტილებას, ვინაიდან პრივატიზაციის პროცესი ერთი დღის საქმე როდია, – განაცხადა მან რუსეთის ბი-ბი-სის სამსახურთან ინტერვიუში. – ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ელექტროსადგურები აწარმოებენ მოგების გენერირებას. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ მოვახდენთ მათ მოდერნიზაციას, ისინი განვითარდებიან და მათი შექენის შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ, მივიღოთ მოგება“.

ორივე ჰიდროელექტროსადგურის ექსპლოატაცია ხდება მთელი წლის განმავლობაში, მათი ჯამური სიმძლავრე, „ინტერ რაო ეესის“ მონაცემებით, 226,5 მეგავატს შეადგენს.

რუსეთის კომპანიების მიერ ენერგეტიკული ობიექტების მორიგმა პრივატიზაციამ ოპოზიციისა და ექსპერტების ნაწილის მხრიდან კრიტიკის ახალი ტალღა გამოიწვია საქართველოს ხელმძღვანელობის მისამართით.

ოპოზიციის წარმომადგენელთა სიტყვებით, გარიგებას შეიძლება საქართველოსთვის მძიმე შედეგები მოჰყვეს, რუსეთის ჰოლდინგი კი თანდათანობით ახდენს არა მხოლოდ საქართველოს ენერგოსისტემის მონოპოლიზებას, არამედ მთელი რეგიონისაც.

საქმე ის არის, რომ „ინტერ რაო ეესი“, რომლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეც რუსეთის ვიცე-პრემიერი იგორ სეჩინია, უკვე ფლობს მნიშვნელოვანი ოდენობის აქტივებს საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე. მათ შორისაა გამანაწილებელ კომპანია „თელასის“ საწესდებო კაპიტალი, რომელიც ელექტროენერგიას თბილისს აწვდის. რუსეთის ჯგუფს ეკუთვნის თბოელექტროსადგურიც და კომპანია „ტრანსენერჯი“, რომელიც ახდენს ელექტროენერგიის ექსპორტს თურქეთში.

ექსპერტი გია ხუხაშვილი ამბობს, რომ საქართველოს მთავრობა საჯაროდ მკაცრად აკრიტიკებს კრემლს, პრაქტიკულად კი უთმობს რუსეთს მნიშვნელოვან ობიექტებს.

„ამ გარიგებას აქვს უფრო სიმბოლური ხასიათი: რუსეთმა პრაქტიკულად დაამთავრა პრივატიზაციის პროცესი საქართველოს ენერგეტიკაზე კონტროლის დაწესებით, – მიაჩნია ხუხაშვილს. – პარადოქსი ის არის, რომ რიტორიკის მიღმა დგას მეტად კეთილნაყოფიერი თანამშრომლობა. რიტორიკული ომის ფონზე ჩვენ პრაქტიკულად მთლიანად რუსეთს ვაბარებთ საქართველოს ენერგეტიკული უშიშროების სისტემას“.

კავკასიის ეკონომიკისა და სოციალური კვლევების ინსტიტუტის ეკონომისტი და აღმასრულებელი დირექტორი დავით ნარმანია მიიჩნევს, რომ საქართველო აკეთებს იძულებით არჩევანს ინვესტიციების სასარგებლოდ – ინვესტორების დაბალი აქტივობის ფონზე.

„არ მიმაჩნია, რომ ეს იყოს საქართველოს მხარის სწორი გადაწყვეტილება, – განმარტავს თავის პოზიციას ნარმანია. – რუსეთი ცდილობს, ხელში ჩაიგდოს ობიექტების დიდი ოდენობა, კერძოდ, ენერგეტიკული ობიექტებისა, სადაც ეს შესაძლებელია და ძირითადად მიზნად ისახავს პოლიტიკურ ინტერესებს. ეს რუსეთის მხრიდან პოლიტიკური ინვესტიციაა“.

თავად „ინტერ რაო ეესში“ აცხადებენ, რომ პოლიტიკურ ურთიერთობებს რუსეთსა და საქართველოს შორის არანაირი დამოკიდებულება არ აქვს მის მუშაობასთან.

„ჩვენ პოლიტიკის გარეშე ვმუშაობთ, ჩვენ ერთმანეთთან გვაკავშირებს მხოლოდ ბიზნესინტერესები, – დაბეჯითებით აცხადებს კომპანიის პრესმდივანი ნიკოლაი გორელოვი. – მიმაჩნია, რომ ჩვენი გუნდი მაღალპროფესიულია და საქართველოს ელექტროენერგეტიკულ საწარმოებს სჭირდებათ ასეთი სპეციალისტები, ესე იგი პროცესი ორმხრივია. ამავე დროს ჩვენ უმაღლე ვთანხმდებით იმის შესახებ, რომ პოლიტიკური სიტუაცია ზეგავლენას არ მოახდენს ბიზნესინტერესებზე“.

საქართველოს მთავრობაში ასევე არ იზიარებენ საფრთხეს იმასთან დაკავშირებით, რომ გარიგებაში არის რისკი, რომ დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა გავლენას არ ახდენს ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე რუსეთის ინვესტორებთან დამოკიდებულებაში.

„მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მხრიდან მოხდა ოკუპაცია და ღია სამხედრო აგრესია, საქართველოს კომპანიას ექნება ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობა რუსეთის კომპანიებთან“, – განუცხადა ჟურნალისტებს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**ბერლუსკონის რუსმა მეგობარმა ქალმა აღიარა, რომ პრემიერი მისთვის მეორე ოჯახია, და რომ მათ შორის ინტიმი არ არის**

მსახიობისა და მოდელის სახელი გამოჩნდა პრესაში იტალიის პრემიერის ქალიშვილებთან საუბრების აუდიო ჩანაწერების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ეს ქალიშვილები მისი „ჰარამხანიდან“ იყვნენ. სკორკინამ ბერლუსკონის ტელეფონით როგორღაც უთხრა, რომ მას გაუთავდა ბენზინი და პრემიერი დაპირდა მას, რომ გასცემდა განკარგულებას ბუღალტერზე, რომელიც, პროკურატურის აზრით, ანაწილებდა სახსრებს ქალიშვილებს შორის.

* * *

**მონაკოს დაზვერვის სამსახურის ექსხელმძღვანელმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ ბიზნესმენები და ჩინოვნიკები რუსეთის ფედერაციიდან პუტინის ხელმძღვანელობით, როგორ ათეთრებდნენ ფულს**



ბრალდებას პუტინის მისამართით რობერტ ერინჯერი აგებს იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მიღებულია ლიხტენშტეინის, ლუქსემბურგის, მალტის, სან-მარინოსა და მონაკოს დაზვერვებიდან, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ერთ ასოციაციაში, აგრეთვე მონაკოს სამეფოს საშინაო საქმეთა დეპარტამენტის ოპერატიული ანგარიშებიდან.

* * *

**ერთი თვე გავიდა მიწისძვრიდან იაპონიაში: დაიღუპა 13 ათასი კაცი, ყურადღების ცენტრშია „ფუკუსიმა“**

დაახლოებით 15 ათასი დაიკარგა უგზო-უკვლოდ. მსხვერპლის მიხედვით ლიდერებია ნიაგის, ივატესა და ფუკუსიმას პრეფექტურები. „მაგატეს“ ზემოქმედებით იგეგმებოდა გამოყოფილი ზონის გაფართოება 30 კილომეტრამდე, მაგრამ იაპონიის მთავრობამ კვლავ არ გააკეთა ეს, აღნიშნა საფრთხის შემცირების შესახებ ატომური ელექტროსადგურიდან.



* * *

**გამოძიების ფედერალურმა ბიურომ საიდუმლოების გრიფი მოუხსნა უცნაურ დოკუმენტს: როზუელში 1947 წელს მართლაც დაიმსხვრნენ უცხოპლანეტელები**

სამხედრო საჰაერო ძალების წყაროებმა გამოძიების ფედერალური ბიუროს საagენტოს აცნობეს, რომ ნიუ-მეხიკოს შტატში აღმოაჩინეს სამი „მფრინავი თეფში“, მათში არის უცხოპლანეტელების სხეულები 90 სმ სიმაღლით, მათ აცვიათ კოსტიუმები ლითონის ქსოვილისგან. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ შემდგომი გამოძიება აღარ განახორციელა, სამხედრო სარდლობამ კი ინციდენტის შესახებ ინფორმაცია გაასაიდუმლოვა.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ პარადოქსები ქართულად

# მინისტრის მოადგილემ თუ ამდენი მოასწრო...

**გაზეთი „ასავალ-დასავალი“ სისტემატურად აქვეყნებს დიდკაცთა (და „დიდქალთა“!) ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებს; ჰოდა, ახლახან ერთი ახლადგამომცხვარი მინისტრის მოადგილის ანგარიში მომხვდა თვალში და მცირე არითმეტიკული გამოთვლები შევასრულე.**

ამ ახალგაზრდა კაცს (ჯერ 40-ისაც არ შესრულებულა) ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის“ სამსახურში („ეგრეთ წოდებული“ იმად, რომ უფრო უპრიანია „შევარდნების რევოლუციად“ იყოს წოდებული; ჯერ ერთი იმიტომ, რომ შევარდნაძის ხელში მოხდა, მეორეც იმიტომ, რომ 2003 წლის 23 ნოემბრის შემდეგ – როცა პარლამენტის შენობაში შევარდნენ – სულ შევარდნებზე არიან: სხვადასხვა შენობაში – მაგალითად, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა, საავადმყოფოებისა... კვლევითი ინსტიტუტებისა, უმაღლესი სასწავლებლებისა... ბაზრობებზე, ჯიხურებში შევარდნასაც არ თაკილობენ; ხოლო რატომ არიან შევარდნებზე და შესაბამისად, გამოყრებზე, ვიცით ეს ჩვენ... ბოდიშს ვიხდი, გრძელი გამომივიდა საფრჩხილებო წიაღსვლა და ვუბრუნდები იმ ახალგაზრდა კაცს...) კაი გვარიანი ქონება დაუგროვებია; ღმერთმა მშვიდობით მოახმაროს, განა მშურს, რევოლუცია ხომ იმისაა, რომ ზოგ-ზოგები ამოატივტივოს და მაღლა შეაგდოს – უბრალოდ, ჯამურმა ციფრებმა დამაინტერესა საცოდავ სოციალურ ფონზე, თვალწინ რომ გადაგვშლია; აკი გითხარით, მცირე გამოთვლები ჩავატარე-მეთქი.



ბატონი მინისტრის მოადგილის („ბატონი“ მოადგილეს ეხება...) საცხოვრებელი სულ 273 კვადრატული მეტრია, პლუს 18 კვადრატული მეტრი ავტოფარეხი. ბინები განლაგებულია ილია ჭავჭავაძისა და მოსკოვის გამზირებზე (საოცარია, რუსეთთან მტრობის „მდგომარეობაში“ რომ ეს სახელი – მოსკოვის გამზირი შემორჩენილა...).

ახლა მიწის ნაკვეთებს არ იკითხავთ? 950 კვ.მ. ერთი და 1050 კვ.მ. მეორე, ერთსა და იმავე ცნობილ საკურორტო დაბაში, თბილისის მახლობლად (ალბათ ცალ-ცალკე); 378 კვ.მ. სატყეო მეურნეობაში, თბილისის გარეუბანში; 44 000 კვ.მ. (ნულებში შეცდომა არ გეგონოთ!) პოპულარულ ზამთრის კურორტზე! ჯამურად გამოდის 47 378 კვ.მ.; ნეტავი როგორ უვლის, რას უშვება ამხელა მიწის ფართობს...

დეკლარანტის საბანკო ანგარიშებსაც გადავხედოთ: ერთ ბანკში მიმდინარე ანგარიში – 1457 აშშ დოლარი (ბევრი არაფერი, ოღონდ ჯერ სადა ხარ...); იმავე ბანკში დეპოზიტი – 53 300 ლარი; ისევ იქ ანაბარი – 100 000 აშშ დოლარი! მიმდინარე ანგარიში მეორე ბანკში – 50 აშშ დოლარი; ანაბარი მესამე ბანკში – 747 აშშ დოლარი; მიმდინარე ანგარიში მეოთხეში – 43 ლარი; ანაბარი იმავეში – 62 879 აშშ დოლარი; სახელფასო ანგარიში იმ პირველ (დაუსახელებელ) ბანკში – 8 496 ლარი.

სხვა შემოსავლებიც ინებეთ: ერთი საკუთარი ბინის გაქირავებით ბატონ მოადგილეს 3 600 ლარი შემოსვლია, დედის ბინის გაქირავებით – 2 400 ლარი; 23 000 აშშ დოლარი სესხის თაობაზე ზეპირი ხელშეკრულება გაუფორმებია (ეს თანხა ისესხა თუ გაასესხა, თურმე არ ჩანს, მაგრამ უფრო გასესხებულის სუნი ასდის...); აი, 10 000 აშშ დოლარი სესხი კი მისთვის ნამდვილად დაუბრუნებიათ...

სულ დოლარი გამოდის 197 386; ლარი – 59 053.



წლიური ხელფასი ბატონი დაუსახელებელი მოადგილისა ყოფილა 89 140 ლარი. ეს თვეში ნიშნავს 7 183 ლარს, დღეში – 253 ლარს. ვინმეს შეუძლია ახსნა, **დღეში 253 ლარისას რას მიკეთებს** ბატონი ისა? და თუ გავიხსენებთ, რომ პენსია **თვეში 100 ლარია** – პარადოქსია, მა რა ჯანდაბაა!..

ჩემთან შემოსადავებელი სულ ადვილად ჩნდება – საქართველოში მაგ ახალგაზრდა კაცზე შეძლებული და მდიდარი, მეტსაცხოვრებელფართიანი, მეტმიწისნაკვეთიანი, მეტხელფასიანი ვერავინ ვერ ნახეო? არიან, როგორ არა, მაგრამ მე რაც ჩემი დასაბრმავებელი თვალებით ვნახე, იმაზე დავწერე. „ასავალ-დასავალი“ ალბათ ყველას ჯიბეში, საბანკო ანგარიშებში, ბინებში და მიწის ნაკვეთებში ვერ ჩაიხედავს...

სადაც მინისტრის მოადგილეს რევოლუცია, ვარდების იქნება თუ შევარდნების, ასე აბაირამებს, იქ თავად მინისტრს რას უზამს? მინისტრი რა დღეშიც იქნება, „წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“.

მე კი ერთ წვერიან ანეკდოტს გავიხსენებ. მეზატონეს ორმა ერთმანეთის მოქიშპე გლეხმა (მეზობლები იყვნენ) კალათებით ძღვენი მიართვა – ერთმა ქლიავი და მეორემ ატამი. მბრძანებელს საჩუქარი არ მოეწონა და ბრძანა კიდევაც – ეგ ხილი აიღეთ და უკან შესტენეთო. ქლიავის მიმტანს რომ ეს „ოპერაცია“ დაუწყეს, სიცილი აუტყდა. – რა გაცინებსო, ჰკითხეს. – რა და, მე რომ ამ ყოფაში ვარ, იმას რომ ატმის შეტენას დაუწყებენ, შემახედა, რა დღეში იქნებაო.

ჰოდა, თუ მინისტრის მოადგილემ ამდენი მოასწრო, მინისტრი რაღას იქმდა?

გაგრძელება იქნება... „ასავალ-დასავალში“...

**ბერდია ბედოიძე.**

**მინაწერი: კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს ამდენი ფრჩხილების, ბრჭყალების და მრავალწერტილის გამო. ჟურნალისტია და გუნება...**

**ბ. ბ.**

◉ რჩევა მთავრობას

**– სულ მიკვირდა – „დედაენაში“ რატომ უნდა იყოს ლექსი მელიასა და ჩიტზე, რატომ უგდებს ჩიტი მელიას ბარტყს? რატომ ატირებენ ამ პატარა ბავშვებს, რას იფიქრებენ დედაჩიტზე, რა ცუდი დედა ჰყოლიაო! შვლის ნუკრის ნაამბობმა ხომ გაგვათავა დარდით. ცრემლად ვიღვრებოდით. ასე გავიზარდეთ, სიბრალულით და სიკეთით.**

– ამას ჰქვია საჭე, აზრი გამექცაო... ისევ იმ სულის შემძვრელ სიტუაციას დავუბრუნდები, რამაც ჩემი ქვეყნის მოქალაქეები (იუსტიციის სამინისტროს და შსს-ს გარდა) შეაწუხა, შეაშფოთა და შეაშინა. შიშის მიზეზი: რა ხდება ამ ქრისტიანულ ქვეყანაში, სადაც, წესით ქრისტიანები უნდა ცხოვრობდნენ, ანუ – უნდა უყვარდეთ მოყვასი, იყვნენ მიმტევებლები, „არა კაცს ჰკლან“, პატივი სცენ მამასა და დედასა თვისსა (იგულისხმება – უფროსები);

– ქურდობა და ქურდები მოვსპეთო და ქურდები სამსახურში ჩაიყვნეს, მსტოვრებად გაიხადეს, უიარაღო მოქალაქეებს მიუსიეს. იმ მოქალაქეებს, რომლებიც მხოლოდ ქრისტიანულ, ადამიანურ დამოკიდებულებას ითხოვდნენ პატიმრების მიმართ. ამ რეჟიმმა თანამოძმის არდანდობა ასწავლა 30 ვერცხლის საფასურად პოლიციას და მისთანეებს, რომლებსაც თანამოძმის დაცვა ევალება – ეს არის მისი ფუნქცია.

– ამას წინათ ინგლისური ფილმი გვიჩვენეს – რა პატივით ხვდება და ეთხოვება დედოფალი ვიქტორია ომის ვეტერანებს ტახტიდან გადადგომის ცერემონიალზე. რა ამაყად მიაბიჯებენ თავისი მთავრობის, დედოფლის და სამხედრო მთავარსარდლობის (უწყების) მიერ დაფასებული, მოვლილი და წელში გამართული, ამაყი ვეტერანები.

– ჩვენმა ვეტერანებმა, რომლებმაც „შიმშილი გააგრძელეს“ (მათი სიტყვებია), სრულიად უვნებელი პროტესტით, ელემენტარული საარსებო მინიმუმის მოთხოვნის გამო, ისეთი შეურაცხყოფა, დამცირება და აბუჩად აგდება მიიღეს, მეტი არ შეიძლება... ჩვენ, ჩვენმა თანამემამულეებმა – ამ დარბევის მაყურებლებმა, ცრემლები ვღვარეთ, ბოდიში ვუხადეთ ნაომარ, ნაჯაფ, მთავრობისგან, სახელმწიფოსგან დავიწყებულ, დაუფასებელ და ლუკმაპურის (!!!) მთხოვნელ ვეტერანებს. რა სისასტიკით ექცეოდნენ ეს ძვირადღირებული „ჩვენი დამცველი ვაჟკაცები“(!!!).

არა, ქალს მაინც რას ერჩოდნენ, იცავდა ქალი ამ საცოდავ, თავისი მთავრობისგან განწირულ ვეტერანებს. სისხლი ადინეს. შემზარავი საყურებელი იყო. არც ერთ პოლიციელს ამ ქალისთვის არ მოუხედავს. ეს მათ თვითონ ჩაიდინეს. ეს მუშტები მათ თავიანთ დედებს, დებს, მეუღლეებს ურტყეს.

ახლა პირველ სიტყვას დავუბრუნდეთ.

რა გახდა ეს „ცხვირმოჭრილი“, ტუჩებდაბერილი, გაპუწული „საპატიმროების მინისტრის“ გადაყენება. პირველად ვაკადრე ჩემს თავს უკადრებელი – ხაზი გავუსვი იმ ფიზიკურ კორექციას, რომელიც ქ-ნმა მინისტრმა ჩაუტარა თავის გარეგნობას. ეტყობა, მოთმინებამ მიღალატა, ზღვარი აქვს ყველაფერს.

ქალი, რომელიც სრულიად გულგრილი სახით, უემოციო ხმით უძვირფასეს კოსტიუმებში გამოწყობილი გამოჩნდება ხოლმე ეკრანზე და არაფერს ამბობს, ვერაფრით ამართლებს დაუშვებლად დიდი რაოდენობით ციხეში დაავადებული, დახოცილი პატიმრების სიკვდილის მიზეზს – არ შეიძლება იყოს მინისტრი!!!

– პარლამენტში მსხდომი ქალების გამკვირვებია. ნენსი რეიგანივით წითელ, კვასკვასა კაბაში გამოწყობილი, კაშკაშა ყვითლად შეღებილი ისეთი თმებით, სადაც ბეწვი ბეწვზე საგანგებოდ არის დაწყობილი, და ასაკისთვის შეუფერებელი მაკიაჟით ალაჟღაჟებული ლოყები გამოჰყოფს პარლამენტართა საერთო მასიდან... ამ ქალბატონს თუ არ ვცდები, პატიმრების მიმართ რაღაც ზედამხედველობის მოვალეობა უნდა ეკისრებოდეს თავის ფრაქციაში, გარდა თმების დაწყობისა.

– ყოველ შემთხვევაში, ტელევიზიით ვიხილეთ: ქ-ნი ხერხეულიძე და ზემოაღწერილი მოწესრიგებული ქალბატონი ციხის დათვალიერებით ძალიან კმაყოფილი რომ გამოვიდნენ და ასე გვამცნეს:

# მერთი ბარტყი გადაუგდეთ!

„მდგომარეობა დამაკმაყოფილებელიაო“. ვისთვის, ქ-ნო პარლამენტარებო? თქვენთვის – მეტისმეტად დამაკმაყოფილებელია. პატიმრებისთვის?



– თქვენ თუ გაიგეთ, რომ კალმახელიძის რეჟიმის დროს სიკვდილიანობამ ერთი წლის განმავლობაში ოცდაათით იმატა ახალაიას პერიოდთან შედარებით;

– თქვენ თუ შეიტყვეთ, რომ პატიმრების ცემა კეკლუცი მინისტრის დროს ისეთი რაოდენობით ხდება დღეში, რაც ახალაიას რეჟიმის დროს – კვირაში ხდებოდა...

– ბოლო „ვაჟკაცობა“ ბ-ნი მერაბიშვილის უწყების მუშაკთა კულმინაციაა. აშკარად ვნახეთ, როგორ უთითებდა საპატრულო პოლიციის უფროსი გეგეჭკორი, ვინ უნდა დაეჭირათ. როგორ იკადრა მერაბიშვილმა (კადრება რა შუაშია), როგორ გაბედა და თავისი დაგეშილი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ჯალათები კასტეტებით მიუშვა მშვიდობიან მომიტინგეებზე? რას ითხოვდნენ ასეთს: „ნუ ცემთ პატიმრებს! დროზე უმკურნალეთ, ნუ მიგყავთ სიკვდილამდე! ნუ ამოხოცავთ, ჩვენი გვარის და ჯიშის, მაგრამ შემცდარი, საცოდავი ხალხია, საზოგადოებისგან იზოლირებული!“ – ამას ითხოვდნენ, ამას, რასაც თვითონ ეს გაყიდული, დაგეშილი, ასევე შეცდენილი (მხოლოდ – იუდას მსგავსად) „წესრიგის დამცველნი“ უნდა აკეთებდნენ.

– რომელი საუკუნეა? შუა საუკუნის ინკვიზიციაა, თუ დემოკრატიის მაძიებელი 21-ე საუკუნის ქრისტიანული საქართველოა? ალბათ, ამ ინკვიზიტორებს ხატებიც აქვთ სახლში, პირჯვარსაც იწერენ, როდესაც თავისი ძვირადღირებული მანქანების ფანჯრებიდან ეკლესიას ჩაუვლიან ხოლმე? რატომ არ ჩამოიქცევა ცა ამ დროს, ღმერთო?!

– 7 ნოემბრის შემდეგ ერთი ასეთი ჯალათის ცოლი ამბობდა (ჩემი ყურით გაგონილი): „ახლა რომ პრემია მიიღო ჩემმა ქმარმა, ახალი სარეცხი მანქანა ვიყიდე, კიდევ ერთი ასეთი მიტინგი და „ტროიკას“ გამოვცვლი“!!

– გამოცვლი, ამ მთავრობისგან გადაგვარებულო! ასე ახარებ შვილებს? ასე ზრდი?

– უბედური ქვეყანა! სად იყვნენ ეს ჯალათები ომის დროს? ისინიც ბუჩქებში?

– მე, 75 წლის ნაშრომი, ნაჯაფი, სულით ავადმყოფთა მკურნალი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი-ფსიქიატრი გაფრთხილებთ! – მომავალ ასეთ ვანდალურ აქციაზე შუაგულ პოლიციელებში თავს ავიფეთქებ! ყურად იღეთ! მე ნანა ფიფია წინა დღეს ვნახე, და ველაპარაკე.

– ვერ გეტყვით, რომ ჩემი ასეთი გზით თვითმკვლელობა არ იქნება რეზონანსული. პარლამენტისა და მთავრობის რა მოგახსენოთ, მაგრამ თბილისის (და შეიძლება – საქართველოს) მოსახლეობისთვის ეს რაღაც ნიშნად შეიძლება იქცეს!

– უკანასკნელად კიდევ გამცნობთ – იუსტიციის მინისტრის მოვალეობებს: სასჯელაღსრულების დაწესებულებების მოვლა-პატრონობა, პატიმართათვის პირობების შექმნა, ავადმყოფთათვის მკურნალობის უზრუნველყოფა (და არა – უკვე გარდაცვლილი პატიმრის გადაყვანა საავადმყოფოში), ზრუნვა მათ კვებასა და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. ზემოჩამოთვლილიდან არაფერი არ სრულდება. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ქ-ნი მინისტრი მანამდე ვერ მოისვენებს, სანამ ერთი ცოცხალი პატიმარი მაინც დარჩება მის უწყებაში.

– არ გამოვა ეს ქ-ნო მინისტრო! სანამ თქვენ შიგნით პატიმრებს ხოცავთ, ბ-ნი ვანო (ისიც მინისტრი) გარედან პატიმრებით თქვენ გამარაგებთ და ბიუჯეტს წართმეული ფულით ავსებს – ორი საქმე ერთად.

– ხალხი მოითხოვს, გადადგეთ და მოიძებნოს ადამიანი, რომელსაც აქვს სიბრალულის და მოვალეობის გრძნობა!

**თამილა მაკარიძე**

**P. S. ცნობამ იმის შესახებ, რომ ზოგადად, უმაგალითო თავდადებისთვის საკუთარ ხალხთან ბრძოლაში და კონკრეტულად, ბოლო მშვიდობიანი, მაგრამ „საშიში“ (კვერცხების სროლა) მიტინგის დარბევის და მონაწილეთა ქუჩაში ამოცნობა-დაჭერის ოპერაციის ჩატარებისათვის – სახელმწიფო კვალზე მადევარ პოლიციელებს ბინებით აჯილდოვებს. ასე ფასდება ჩვენთან გმირობა.**

**„დედაენა“ – სიბრძნის წყაროა – თავში მე ბარტყის გადაგდებაზე მოგახსენებდით.**

**მთავრობას ვურჩევთ – ერთი ბარტყი გადააგდოს, შეელიოს. მით უმეტეს, მელია არ ელოდება შესაჭმელად.**

**თ. მ.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ანტირეკლამა

# პიარომანია, მაგრამ ასეთი?!



სტუმარი ღვთისააო – უთქვამს ქართველ კაცს.

დიახაც, მაგრამ ვერც ისტორიის მწარე გაკვეთილებს წავუვალთ სადმე, როცა საკუთარი გულ და ხელგაშლილობა სანანებელი გაგვხდომია.

ვიმედოვნებთ, ამ შემთხვევაში ასე არ მოხდება, მაგრამ, ხომ იცით, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

საქართველოში ლეგენდარული იტალიელი სამთომოთხილამურის ალბერტო ტომბას სამდღიან ვიზიტზე მოგახსენებთ, რომელსაც სამთავრობო სტრუქტურებმა და მათმა საინფორმაციო (თუ სადეზინფორმაციო? – **გ. პ.**) რუპორებმა პიარდატვირთვა შესძინეს.

ალბათ, გსმენიათ, რეკლამა ჩაწოლილ პროდუქციას სჭირდება გასასაღებლადო. თუ ეს მართლაც ასეა, გეკითხებით – სპორტულმა სამყარომ ვითომ დღემდე არაფერი იცოდა ჩვენი განთქმული ზამთრის კურორტების შესახებ? ჰაი ჰაი, რომ იცოდა, მით უმეტეს სწორუპოვარი კობა წაქაძის ვარსკვლავის აკიაფების შემდეგ, მაგრამ, ხომ იცით, ვარდოსნები ყველაფრის ბრენდირებას (მათივე ტერმინია – **გ. პ.**) საკუთარ თავს მიაწერენ და წინამორბედთა ნაამაგარის წაშლით ცდილობენ პირად განდიდებას.

მათ პატივისცემით შევახსენებთ, რომ სამგზის ოლიმპიური და ორგზის მსოფლიო ჩემპიონ „ბომბას“ გარდა, ჯერაც ცოცხლები არიან არანაკლებ პოპულარული თოვლიანი ტრასების სხვა დიდოსტატები: ინგემარ სტენმარკი, პირმინ ცურბრიგენი, ფრანც კლამერი, ვილი ფრომელტი, მარკ ჟირარდელი, გუსტავო ტონი და ჟან-კლოდ კილი. ასე რომ, ისინიც მალე მოიწვიეთ.

**გია პლატონიშვილი**

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილის 10-ათასიანი



**ქართველი ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი, რომელიც რეიტინგში 234-ეა, იტალიურ პომეციაში ათიათასდოლარიან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა.** იგი პირველ ნომრად იყო განთესილი და გაამართლა კიდეც. მაკამ ნახევარფინალში იტალიელ ანასტასია გრიმალსკას აჯობა – 6:2, 6:3, ფინალშიც მასპინძელს, ტურნირის მე-7 ნომერ ანალიზა ბონას სძლია – 1:6, 6:2, 6:2. საგულისხმოა, რომ შარშან სექტემბერში ჩახნაშვილმა თბილისის საერთაშორისო ტურნირი მოიგო და მას შემდეგ არსად გაუმარჯვნია. იტალიაში მიღწეული წარმატებით მაკამ მონაგარი 12 სარეიტინგო ქულით გაიმდიდრა.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის XXIX ტურის კალენდარი ისე შეადგინეს მისმა ორგანიზატორებმა, რომ ხუთივე შეხვედრა ლიხს იქეთ გაიმართა.**

მასპინძლებმაც მაქსიმალურად ისარგებლეს საკუთარი მოედნის უპირატესობით და 15 შესაძლებლიდან 13 ქულა მოიპოვეს.

განსაკუთრებით წონადი გამარჯვება ზემოიმერლებმა იზეიმეს მას შემდეგ, რაც „ზესტაფონმა“ სატიტულო ბრძოლაში თბილისის „დინამოს“ სძლია – 1:0. აღსანიშნავია, რომ დისკვალიფიცირებული გელაშვილისა და დაუშვილის არყოფნაში შედეგიანი კომბინაცია ბოლო წუთზე მათმა შემცვლელებმა – ლომაიამ და ჭანკოტაძემ გაითამაშეს.

**ასევე საფინალო სასტვენის წინ გავიდა გადამწყვეტი გოლები დანარჩენ მატჩებშიც:** „ტორპედო“ – „ოლიმპი“ 2:1 (მეგრელაძე, ქებაძე; მაისურაძე), „ბაია“ – „ვიტ ჯორჯია“ 1:0 (აფაქიძე), „კოლხეთი“ – „სიონი“ 1:0 (გავაშელიშვილი).

აღმოსავლეთ საქართველოს კლუბებს ნამუსი „ცხინვალმა“ მოსწმინდა, რომელმაც ფრედ ითამაშა სამტრედიაში – 0:0, თუმცა ეს ის შემთხვევაა, რომლის შესახებაც იტყვიან „მკვდარი მკვდარს აეკიდაო“ – მოგეხსენებათ, ორივენი სატურნირო ცხრილის მაჩანჩალები არიან.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ზესტაფონი“ – 60, „ოლიმპი“ – 57, „დინამო“ – 50 ქულა (27 თამაშიდან).

* * *

**იტალია.** „ფიორენტინა“ – „მილანი“ 1:2, „ინტერი“ – „კიევო“ 2:0, „ბოლონია“ – „ნაპოლი“ 0:2 „უდინეზე“ – „რომა“ 1:2, „ლაციო“ – „პარმა“ 2:0.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „ალმერია“ 3:1, „ბილბაო“ – „რეალი“ 0:3, „ვალენსია“ – „ვილიარეალი“ 5:0, „ატლეტიკო“ – „სოსიედადი“ 3:0, „მალაგა“ – „დეპორტივო“ 0:0.



**ინგლისი.** „მანჩესტერი“ – „ფულჰემი“ 2:0, „ბლექპული“ – „არსენალი“ 1:3, „ჩელსი“ – „უიგანი“ 1:0, „ტოტენჰემი“ – „სტოკი“ 3:2, „ვესტ ჰემი“ – „ევერტონი“ 0:3.

**გერმანია.** „ჰამბურგი“ – „ბორუსია“ 1:1, „ლევერკუზენი“ – „სანკტ პაული“ 2:1, „ნიურნბერგი“ – „ბაიერნი“ 1:1, „ჰანოვერი“ – „მაინცი“ 2:0.

**ვიტალი ჯაფარიძე**

კალათბურთი

# ისევ ისინი



**სუპერლიგის XX ტურის შეხვედრების ანონსირებისას აღვნიშნეთ, რომ სრულფასოვანი შემადგენლობით გამორჩეულ შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდს არც ერთი პრინციპული ბრძოლა არ ჰქონდა მოგებული და იმედი გამოვთქვით, დავით უსტიაშვილის შეგირდები ნავსის გატეხვას გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „არმიასთან“ მატჩში შეეცდებოდნენ.**

ვარაუდი გამართლდა – ძალოვნები სამი პერიოდის განმავლობაში ფლობდნენ სათამაშო უპირატესობას და მცირედი დააკლდათ მრისხანე მეტოქის დასაჩოქებლად.

მძაფრი სანახაობის ბედი გარკვეულწილად დუელის დასაწყისშივე გადაწყდა, როცა მძიმე ტრავმა მიიღო შსს-ს ძირითადმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ტუჯანმა. მართალია, მის დუბლიორს, ახალგამოჯანმრთელებულ იმნაძეს თავი არ დაუზოგავს, მაგრამ სათანადო კონდიციების აკრეფამდე „ბოცოს“ ჯერ კიდევ ბევრი უკლია და ლოგიკური იყო, მალევე რომ დაუგროვდა პერსონალური შენიშვნები.

რაც შეეხება ლევან მოსეშვილის კრებულს, კრიტიკულ ვითარებაში მას მხსნელებად, უკვე მერამდენედ, ეროვნული ნაკრების წევრები ტულუში და ანატოლი ბოისა მოევლინენ, რომელთა ძალისხმევითაც თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა დასკვნითი მონაკვეთიც მოიგეს – 27:8(!) და მთლიანად შეხვედრაც 81:72.

**დანარჩენი შედეგები:** „სასოფლო“ – „ენერჯი ინვესტი“ 85:75, „სამედიცინო“ – „სოხუმი“ 71:75, სტუ – „დინამო“ 97:65, „ბათუმი“ – „ქუთაისი“ 65:80.

**სატურნირო მდგომარეობა რეგულარული სეზონის ბოლო ტურის წინ:** „არმია“ – 2, თსუ – 3, „ქუთაისი“ – 5, შსს – 6, „სოხუმი“ – 7, „სამედიცინო“, „ენერჯი ინვესტი“ – 12-12, სტუ, „ბათუმი“ – 13-13, „სასოფლო“ – 14, „დინამო“ – 18 წაგება.

**გიორგი შოთაძე**

რაგბი

# ფავორიტებმა მოგებით დაიწყეს



**ერთი კვირის წინათ საქართველოს ჩემპიონმა „ლოკომოტივმა“ მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „არმიასთან“ თასის გათამაშების მეოთხედფინალში წააგო, გასულ უქმეებზე კი რკინიგზელებმა რევანში აიღეს, ოღონდ ქვეყნის ჩემპიონატის სტარტზე.** ამ პაექრობაში თავიდან არმიელები დაწინაურდნენ რატი ნუცუბიძის ზუსტი საჯარიმო დარტყმით. ამის შემდეგ მთელი პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა შესვენებამდე „არმიამ“ მაინც შეძლო დაწინაურება 13:12. მეორე ტაიმში ჩემპიონებმა იყოჩაღეს და მატჩი 26:16 მოიგეს.

შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანმა „ლელომ“ ძალების დაუძაბავად სძლია „არმაზს“ – 36:12. ქუთაისის „აიამ“ ფოთში მშრალი ანგარიშით დაამარცხა „ხარები“ 35:0, ხოლო „აკადემიამ“ დაძაბულ პაექრობაში „ყოჩებს“ აჯობა – 19:14.

**ლექსო ცინცაძე**

ძიუდო

# მუდანიიდან – 11 მედლით

**ახალგაზრდა ქართველმა ძიუდოისტებმა, რომლებსაც გიორგი გუგავა ავარჯიშებს, წარმატებით იასპარეზეს ბერძნულ მუდანიაში თანატოლთა შორის ევროპის თასზე. ჩვენმა ბიჭებმა 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

ყველა ორთაბრძოლა მოიგეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი მესაბლიშვილი (55კ), შალვა ნინიძე (81კ), გიორგი მერმანიშვილი (90კ) და ლევან მატიაშვილი (+100კ). მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა ლაშა შავდათუაშვილი (66კ), ხოლო ლერი ჭელიძე (55კ), ვაჟა მარგველაშვილი (60კ), ოთარ არჩუაძე (66კ), გიორგი ცნობილაძე, ელგუჯა ბიბილაშვილი (ორივე – 100კ) და უშანგი კოკაური (+100კ) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

წლეულს ახალგაზრდა ძიუდოისტებიც იასპარეზებენ მსოფლიოს და ევროპის პირველობებში და გიორგი გუგავა სწორედ ამ შეჯიბრებებისთვის არჩევს და ამზადებს შეგირდებს.

**გივი გაგუა**

ინტერნეტიდან

## ფელპსის სამი გამარჯვება



**ამერიკულ ენ-არბორში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ცურვაში კვლავ ისახელა თავი მრავალგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და რეკორდსმენმა მაიკლ ფელპსმა. 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში თუ პირველი ბრაზილიელი სიელუ იყო.** იმავე სტილით 200 მეტრზე, ბატერფლაით 100 მეტრზე და გულაღმა 100 მეტრზე ასპარეზობებში პირველობა არავისთვის დაუთმია ფელპსს. შესაბამისად მისი მაჩვენებლებია 1,48,45,52,30 და 54, 15 წამი. 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში კი ტუნისელმა მელულიმ გაიმარჯვა – 2. 15,36.

## პელეს ლამაზმანებიც არ დავიწყებია

**ბრაზილიაში ფეხბურთი მარტო მამაკაცებს კი არა, ქალებსაც უყვართ. თავისი ქალთა გუნდები ჰყავს ქვეყნის ყველა წამყვან გუნდს. მაგალითად „სანტოსს“, რომელშიც ადრე თავად პელე თამაშობდა, მის გუნდს „სერეიასა“ ჰქვია, ქართულად „სირინოზებს“ რომ ნიშნავს.** ამ გუნდში სხვებთან ერთად თამაშობენ რაფინია და კაკა, რასაკვირველია, „ჯენოასა“ და „რეალის“ ფეხბურთელები კი არა, ქალები ასეთი სახელებით. თუ ბრაზილიელი ქალები მინდორზე მამაკაცებს აგიჟებენ თავიანთი ოსტატობით, მის გარეთ კი – თავიანთი სილამაზით. პელემ კლუბის ასწლიანი იუბილისთვის სწორედ ამ ლამაზმანების ფოტოსურათებით გამოუშვა კალენდარი.



არავითარი უხამსობა ამ გამოცემაში არაა. ქალიშვილები საბანაო კოსტიუმებში არიან გადაღებულნი. კალენდარი ახლავე პოპულარობით სარგებლობს „სანტოსის“ გულშემატკივრებში. „სირინოზები“ კი ალბათ თავიანთი მატჩებზე მაყურებელთა ნაკლებობას ვერ დაემდურებიან.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

„ვერნისაჟში“



# ნორჩი მხატვრის პერსონალური გამოფენა

**11 წლის სალომე ჭილლაძის ნამუშევართა ჩვენება მოეწყო საგამოფენო დარბაზ „ვერნისაჟში“.**

ნორჩი მხატვრის ამ პერსონალურმა გამოფენამ ფართო რეზონანსი პოვა. როგორც ვერნისაჟის გახსნისას საქართველოს სახალხო მხატვარმა თემო გოცაძემ აღნიშნა, XXI საუკუნეს სრულიად ახალი ესთეტიკა მოაქვს. შეიცვალა როგორც მხატვრობისადმი მიდგომა, ასევე თავად შემოქმედთა ხედვა და მისწრაფებები. თანამედროვე ეპოქის ქართული მხატვრობის ერთ-ერთი ძლიერი ხაზი, სწორედ XX საუკუნის გამორჩეული ინდივიდების შემოქმედებაზე გადის, რომელთა დიდი ნაწილი კონცეპტუალურად განსხვავებული მიდგომითა და მათთვის ჩვეული სახვითობის დაცვით მუშაობს. მათი შემოქმედების ახალ ეპოქასთან მიმართებითი ანალიზი კი ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო საკითხია.

ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს ნორჩი მხატვრის შემოქმედება, რომელიც თვითმყოფადია და ქვეცნობიერადაც ეხმიანება ახალი საუკუნის სუნთქვას და სულიერ მოთხოვნებს.

საგამოფენო დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ აღფრთოვანებით მიიღო ნორჩი შემოქმედის მიმართ წარმოთქმული გულწრფელი შეფასება და სხვა კეთილი სიტყვები ამაგდარი მხატვრის თემო გოცაძისა, რომელსაც ამას წინათ შეუსრულდა 70 წელი.

შემოქმედების უსასრულობაზე და თაობათა კავშირზე მიუთითებს ქართული სახვითი ხელოვნების ამ ორი თაობის წარმომადგენელთა ერთად დგომა.

გოგონა სწავლობს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საჯარო სკოლაში და შემოქმედებით სახელოსნოში „ART-მარი“.

გამოფენაზე ნორჩი მხატვრის თითქმის 30 ნამუშევარია წარმოდგენილი.

სალომე ჭილლაძე 6 წლიდან ხატავს, თუმცა გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების შექმნაზე მხატვარი 2 წლის განმავლობაში მუშაობდა. ნახატებში, ძირითადად, ნატურმორტები, პეიზაჟები და პორტრეტები ჭარბობს. მათ ყველას აერთიანებს სალომესათვის დამახასიათებელი ფერთა თავისებური სიხასხასე და მიმზიდველობა.

**მამია ალაშვილი**
**ავტორის ფოტო.**



გახსენება

# ხსოვნაში კეთილად დარჩენილი

**მეორე გაზაფხული, მეორე დაბადების დღე (12 აპრილიძ — მედიკოს გარეშე... ვწუხვართ, ვდარდობთ, მაგრამ გვეამაყება კიდეც მის მიერ განვლილი გზა, რომელიც იმის თვალნათელი მაგალითია, რომ ეროვნული მოღვაწე მხოლოდ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქას არ ეკუთვნის. ის ხომ დიდი გულწრფელობით, თავდადებით — მასშტაბური აზროვნებითა და მაღალი ზნეობრივი კულტურით ემსახურებოდა მშობელ ხალხს, ხელს უწყობდა მისი კეთილდღეობის ამაღლებას, ქართული ტრადიციების განმტკიცება-გათანამედროვეობას, ადამიანებში კაცთმოყვარეობის აღზევებას. ამის გამოძახილია გარდაცვალების შემდეგაც მედიკოსადმი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი. ის სულ უფრო პოპულარული ხდება, რაც მხოლოდ გამორჩეულთა ხვედრია.**

**შემთხვევითი არ გახლავთ, რომ საზოგადოებამ ყოველმხრივ დაუჭირა მხარი მედეა მეზვრიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ კოლექტიურად შექმნილი წიგნის გამოცემას. ნიშანდობლივია, რომ მის ხორცშესხმაში**



**მონაწილეობა მიიღო საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის წარმომადგენელმა — ორასამდე კაცმა. ამიტომაც იქცა ის მედიკოს ღვაწლის ობიექტურად ასახვის, მის მიერ სახელოვნად განვლილი გზის დოკუმენტურად შეფასების, საერთოდ, მედიკოს ფენომენის საყოველთაოდ აღიარების სინონიმად. ჩვენ, მისი მეგობრები და თანამოაზრენი სიამაყით ვამბობთ, რომ მედეა მეზვრიშვილმა — დიდებულმა ქალბატონმა, როგორც ილია იტყოდა, ცხოვრებით დაბრძენებულმა დედაკაცმა, მართალი ადამიანის სახელით იცხოვრა, მამულიშვილობის დიდი ტვირთი სახელოვნად ზიდა, უყოყმანოდ, ერთგულად და მიზანმიმართულად აკეთა ქართული საქმე. ამიტომაც შეიქმნა ობიექტური საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, რომ მედიკო, როგორც მოღვაწე, ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობისა და მთლიანობის სიმბოლოა.**

**საზოგადოება თანდათანობით აცნობიერებს მედიკოს როლსა და ღვაწლს ქვეყნის აღმშენებლობაში, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, ღვთის საქმის უჩუმრად კეთებაში. დრო მედიკოს და მედიკოსნაირი ჭეშმარიტი მამულიშვილების სასარგებლოდ მუშაობს. ეს ლოგიკურიცაა, მათ ხომ არც წარსულის, არც მომავლის არ ეშინოდათ და არ ეშინიათ. ისეთებს, როგორიც ჩვენი მედიკო იყო, — შეუბღალავი, წრფელი და უტყუარი, — გვჯერა, სამშობლო არ დაივიწყებს.**

**მეგობრები**

ინფორმაცია

## საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალებას ყადაღას დაადებენ

**პირის მიერ ჯარიმის და საურავის არგადახდის შემთხვევაში, სააღსრულებო ბიურო უფლებამოსილი ხდება, ავტოსატრანსპორტო საშუალებას ყადაღა დაადოს ან მისი რეალიზაცია მოახდინოს.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილება შედის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“.**




მოქმედი კანონმდებლობით, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომელთა თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონასძ, ან სრული მასა — 44 ტონას, ან გადასაზიდი ტვირთის მასა — დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს, ითვალისწინებს ავტოსატრანსპორტო საშუალების ოპერატორის ანდა ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის დაჯარიმებას თითოეულ ზედმეტ ტონაზე 500 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივით, თუ პირი არც ამ ჯარიმას და არც ზედ დამატებულ საურავს არ გადაიხდის, კანონპროექტის თანახმად, სააღსრულებო ბიურო ჯარიმას იძულებით გადაახდევინებს — ავტოსატრანსპორტო საშუალებას ყადაღას დაადებენ ან რეალიზაციას გაუკეთებენ.

დღემდე მოქმედი ნორმით, ჯარიმის და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში მისი ამოღება სამართალდამრღვევის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან ან სხვა შემოსავლიდან ხდებოდა.

## ბათუმში ტოტალიზატორებს გარეუბნებში ასახლებენ

**ბათუმში შესაძლოა ტოტალიზატორებმა და სლოტ კლუბებმა ქალაქის ცენტრიდან პერიფერიებში გადაინაცვლონ. ბათუმის მერიის ინფორმაციით, ადგილობრივ მთავრობას შესაბამის კანონპროექტზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვს.**

ბათუმის მერიაში აღნიშნულ პროექტზე სლოტ კლუბების და ტოტალიზატორების მფლობელებისგან საკუთარ წინადადებებს და შეხედულებებს ელიან.

ბათუმის მერიაში აცხადებენ, რომ საჯარო განხილვების შემდეგ ბათუმის საკრებულოში 20 მაისს აზარტული თამაშობების შესახებ პროექტს კენჭს უყრიან.

## ბიძაშვილი დანით დაჭრა

**ვაკეში, კეკელიძის ქუჩაზე, გვიან ღამით, 22 წლის ომარ ახმედიანი ბიძაშვილმა მკერდისა და გულმკერდის არეში დანით დაჭრა. დაზარალებული თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი, სადაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება უტარდება. მომხდარ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.**

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების ინფორმაციით, დაზარალებულს დანით ოთხი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

მთავარი ჭრილობები მას მიყენებული აქვს გულმკერდის, კისრის არეში, მარცხენა დუნდულაზე. ექიმების ინფორმაციით, მისი მდგომარეობა საშუალოდ მძიმეა.

მომხდარის მოტივებზე ვერავინ საუბრობს. უკვე დაკავებულია დაჭრილი ომარ ახმედიანის ბიძაშვილი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ნომრის კარიკატურა



## განცხადება

**2011 წლის 2 სექტემბერს 11 საათზე სუ კავშირის გამგეობის სააქტო დარბაზში (ჟ. კალანდაძის ქ. №3ძ ჩატარდება სუ კავშირის XXV საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.**

სუ კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატთა განცხადება და პროგრამა საორგანიზაციო კომიტეტში მიიღება ზემოთ ხსენებულ მისამართზე 2011 წლის 1 მაისიდან 20 ივლისის 16 საათამდე.

**ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე**
**გ. ჭუმბურიძე**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## დაიჯესტი



### უცნობი შედევრები

**ანტონიო ვივალდის ორ უცნობ სონატას ვიოლინოსთვის მიაგნეს ხელნაწერთა კოლექციაში, სადაც ბოლო 270 წლის მანძილზე ინახებოდა.** ნაწარმოებები ჰენდელის, კორელისა და პერსელის 1715-1725 წლების 180-გვერდიან აკინძვაში იყო შემონახული, რომელიც სამი წლის წინათ ლონდონის ობოლთა მუზეუმს გადაეცა.

### ცა ზღუდე აღარ არის

**ბრიტანელი მილიარდერი, კომპანია „ვირჯიან გელექსის“ დამფუძნებელი რიჩარდ ბრენსონი კალიფორნიაში, მოჰაველ უდაბნოს თავზე პირველი ტურისტული კოსმოსური ხომალდის „სფეის შიფთუმის“ პირველ დამოუკიდებელ გაფრენას დაესწრო.**

„უაითნაითუ ივმა“, მატარებელმა-თვითმფრინავმა, მეტად უჩვეულო ფორმის რაკეტოპლანერი 13,5 ათასი მეტრის სიმაღლეზე აიყვანა, შემდგომ კოსმოსური აპარატი „მოიცილა“, რომელმაც თავისუფალი პლანირება დაიწყო. პირველი საცდელი ფრენა კომპანიის პილოტებმა მაიკ ელსბერიმ და პიტერ სიბოლდმა შეასრულეს.

— უნდა განვაცხადო, რომ „ვირჯი გელექსის“ ისტორიაში ეს ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი დღე იყო, — თქვა მისტერ ბრენსონმა. — მსოფლიოში პირველი კომერციული კოსმოსური ხომალდის დაჯდომის მომსწრე გავხდი და ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ცა ზღვარი აღარ არის, მალე კოსმოსშიც გავისეირნებთ.

2004 წლიდან მოყოლებული ფრთაშესხმის პროცესში მყოფ პროექტს, „ვირჯინ გელექსის“ საინფორმაციო სამსახურის მონაცემებით, 370 კლიენტისგან უკვე აქვს მიღებული დეპოზიტი, რომელთა მთლიანმა ღირებულებაამ 50 მილიონი დოლარი შეადგინა. თითოეული ბილეთი 200 ათასი დოლარი ღირს, რა ფასადაც ტურისტები რამდენიმე წუთს უწონადობაში გაატარებენ, 110 კილომეტრის სიმაღლიდან დაკტბებიან დედამიწის თვალწარმტაცი ხედებით...

ტურისტული კოსმოსური გაფრენები კოსმოდრომ „კოსმოპორტ ამერიკიდან“ განხორციელდება, რომელსაც ამჟამად ნიუ-მექსიკოს შტატში აშენებენ.



### ნავთობის რეინკარნაცია



**რუსეთელ მეცნიერთა მიერ შემუშავებული კონცეფციით, ახალი ნახშირწყალბადებით საბადოების შევსებას მილიონობით კი არა, მხოლოდ ათეული წლები სჭირდება. თუკი ამა თუ იმ რეგიონში ნედლეულს ზომიერად მოიპოვებენ, მისი მარაგი არ უნდა ამოიწუროს. აღნიშნულ თეორიას ადასტურებს რუსეთის, მექსიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამომუშავებულ საბადოებში ახალი ნავთობის აღმოჩენის ფაქტები.**

ამასთან, აღსანიშნავია ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ განახლებული მარაგიდან მოპოვებული ნედლეული „დაბადების ადგილზე“ უნდა იყოს მოხმარებული, რათა წვის პროდუქტები ისევ წიაღში დაბრუნდნენ. საექსპორტოდ გაყიდულ ნავთობს კი „რეინკარნაციის“ შანსი არა აქვს.

### ზურგით თანამედროვეობისკენ..

**ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ხელოვნებათა სკოლის დოცენტმა ვაფ ბილალმა, რომელიც ფოტოხელოვნებას ასწავლის, საკუთარ კეფაში... ფოტოაპარატი დაამონტაჟებინა.** წუთში ერთხელ ბილალის კეფა ერთ ფოტოსურათს იღებს და ყატარის არაბეთის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში აგზავნის. ფოტოაპარატი ვაფ ბილლალს შარშან წლის მიწურულს ჩაუდგეს.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● 1863 წელს ჟიულ ვერნმა დაწერა წიგნი „XX საუკუნის პარიზი“, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი ავტომობილი, ფაქსი და ელექტროსკამი. გამომცემელმა ხელნაწერი უკან დაუბრუნა და იდიოტი უწოდა.

● ჰიტლერი და რუზველტი 12 წლის განმავლობაში უდიდეს სახელმწიფოებს მეთაურობდნენ. მმართველობის პირველი 2 წელი ქვეყნის გაძლიერებას მოანდომეს, შემდეგ 6 წელი კი — ერთმანეთთან სასიკვდილო ბრძოლას. ორივე ერთსა და იმავე წელს, იმავე თვეში გარდაიცვალა (18 დღის სხვაობით).

● ალექსანდრე დიუმამ გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში რესტორანში ყოფნისას გადაწყვიტა, სოკო შეეკვეთა და რადგან გერმანული ენა არ იცოდა, თავისი თხოვნა ოფიციანტს ფურცელზე დაუხატა. „მიხვედრილმა“ ოფიციანტმა მას ქოლგა მიართვა.

● 1943 წლის 30 ნოემბერს თეირანში გამართულ შეხვედრაზე სტალინმა რუზველტსა და ჩერჩილს შესთავაზა, ომის დამთავრების შემდეგ ბერლინის შუაგულში 50 ათას ნაცისტ ოფიცერს მოვუყაროთ თავი და სახალხოდ დავხვრიტოთო. ასეთმა წინადადებამ ჩერჩილში სამართლიანობის გრძნობა გააღვიძა და სასტიკი პროტესტი გამოთქვა. სიტუაციის განმუხტვას რუზველტის ხუმრობით შეეცადა, ჯანდაბას, 49 ათასი იყოსო. ჩერჩილი გაბრაზდა, ოთახიდან გავიდა და უკან არ შემობრუნებულა, სანამ სტალინმა არ მიაკითხა და არ უთხრა, ვიხუმრეო.

● ლეონარდო და ვინჩი ამბობდა: „ფერწერა პოეზიაა, რომელსაც ვხედავთ“, ხოლო პოეზიის შესახებ კი ამბობდა: „ეს ფერწერაა, რომელიც გვესმის“.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

**იყიდება, ქირავდება!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

**ყურადღება!**

საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის სასწავლო-საგამომცემლო კომპიუტერული ცენტრი აცხადებს **ოპერატორ-დამკაბადონებლის** თანამდებობის დასაკავებლად **კონკურსს.**

მსურველთაგან განაცხადის, აგრეთვე ვინაობისა და განათლების საბუთების მიღება იწარმოებს 2011 წლის 26 აპრილის 16 საათამდე, მისამართზე: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის 47ა, VI სართული, უნივერსიტეტის სამდივნო.

საკონტაქტო ტელეფონები: 31-18-50; 31-14-75.

რექტორატი

**ამინდი დღეს**

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 — +11 |
| ქუთაისი. | +3 — +10 |
| ბათუმი. | +3 — +8 |
| ზუგდიდი. | +3 — +10 |
| თელავი. | +2 — +11 |

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“**
**99-62-77; 899 32-85-76.**

## კადრი



## ანეკდოტები

სვანი ეგვიპტის კურორტზე ჩავიდა. სასტუმროს რესტორნის კარზე წარწერაა: „საუზმე — ექვსიდან თერთმეტამდე, ლანჩი — თერთმეტიდან სამამდე და სადილი — სამიდან ექვსამდე“.

— კაცო, კი, მაგრამ პლაჟზე როდის გავიდე!

* * *

— თუ თავისუფალ არჩევნებს დავუშვებთ, ხელისუფლებაში შეიძლება ქურდები და ნაძირალები მოვიდნენ!

— ხოლო თუ არ დავუშვებთ, ისინი ხელისუფლებაში დარჩებიან!



* * *

სანამ სიმართლეს იტყვი, დაფიქრდი, იცი კი ეს სიმართლე?

* * *

— მხოლოდ ახლა გავიგე, რომ თურმე ქორწინების გარეშე შვილი მყოლია! — გაოცებულია საწყობის გამგე.

— შენ რა, ინვენტარიზაცია ჩაატარე?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24